# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 25 აპრილი 2003 №74 (1845) | ფასი 50 თეთრი





# უეფა და თბილისის პოლიცია

## დროშა, რადიო და 100 მეტრი

30 აპრილს, საქართველო — რუსეთის მატჩის დღეს, უფრო სწორად კი საღამოს, წყნეთში გასეირნება თუ მოგინდათ, მანქანას ტყუილად ნუ დაქოქავთ და ბენზინს ნუ დაწვავთ — ბაგებისკენ მიმავალს უცხო ენათა ინსტიტუტთან პოლიციელები გადაგიღობავენ გზას და უკან მიგაბრძანებენ. ხოლო ამ ამბავმა, ხალხმრავლობამ, ქუჩაში დადგმულმა დიდმა ეკრანებმა და ამ ხალხის ხმაშეწყობილმა ყვირილმა თუ გაგაკვირვათ, გამოდის, რომ საქართველო — რუსეთის მატჩისწინა ამბები არ გცოდნიათ...

რუსეთთან მატჩს სტადიონზე რომ ვერ ნახავთ, ათიოდე დღის გადაწყვეტილი ამბავია და ორი ვარიანტი გრჩებათ: ან სახლში ტელევიზორი, ანდა ქუჩაში — გვპირდებიან, „ლოკომოტივის“ სიახლოვეს დიდ მონიტორებს დავდგამთო. ასეთი სურვილიც იყო, რომ ქუჩაში გამოფენილი ხალხის ხმა სტადიონის დინამიკებით გაეშვათ, საქართველოს ნაკრებს თავი ეულად რომ არ ეგრძნო.

მაგრამ სურვილებს ყოველთვის არ უწერიათ ასრულება და არც დინამიკებისგან გამოვა რამე. ამგვარ ქმედებას უეფა კრძალავს. არადა, საინტერესო ისაა, დინამიკებით ქომაგობას უკვე რამდენიმე დღეა იძახიან, ფეხბურთის ფედერაციას კი ერთხელაც არ უთქვამს, სამწუხაროდ, ამ ჩანაფიქრს ვერ ავასრულებთო. რა გამოდის? ფედერაციას ეს საკითხი ან საერთოდ არ აწუხებს, ან უეფასთვის შეკითხვის გაგზავნა დაეზარა, შეიძლება თუ არაო. თუ ასე არ არის და უეფასგან ინსტრუქცია მიღებული აქვთ, რაღას მალავენ, გამოსულიყვნენ და ეთქვათ.

უეფადან ჩვენს კითხვებზე ისიც გვიპასუხეს, რა მანძილზე შეგიძლიათ მიუახლოვდეთ სტადიონს, თქვენივე პოლიციის გადასაწყვეტიაო. თბილისის პოლიციამ 100 მეტრი დათქვა.

UEFA CUP

# პორტუგალიიდან დარჩა პორტუ

## ლარსონის ბიუტი ბოავიშტას




REUTERS

# შუშაკი საპატიო წრეზე

## ტორპედოს გაფუჭებით დინამო გაკეთდა




„ლოკომოტივ“ — „ტორპედომ“ პირველი წრე ჩაამთავრა

გუშინ „ლოკომოტივმა“ ორბელაძის ადრიანი გოლით ჩემპიონი „ტორპედო“ დაამარცხა და ზედიზედ მეოთხე საჩემპიონო ბრძოლას თითქმის ჩამოაშორა.

ამ თამაშით დაასრულა ზეექვსეულმა პირველი წრე. ჩემპიონატის დასრულებამდე კი ხუთი ტურილა დარჩა და „დინამოს“ მეთერთმეტე ტიტულს „ვიტ ჯორჯია“ თუ შეეცილება, რომელიც თავის მხრივ არასდროს ყოფილა ჩემპიონობასთან ასე ახლოს. „დინამოსთან“ ვიტელებს სამი ქულა აშორებთ.

„ლოკომოტივი“ და „ტორპედო“ კი ლიდერს შვიდი ქულით ჩამორჩებიან და ძნელი წარმოსადგენია, რომელიმემ ეს ჩამორჩენა დაძლიოს.

მოკლედ, „დინამო“ ან „ვიტ ჯორჯია“, მეორე წრე კი „დინამო“ — „ტორპედოთი“ დაიწყება.

# უეფას თასი 2002-2003

UEFA CUP **ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები** UEFA CUP

ლაციო (იტალია) 0:0 *პორტუ (პორტუგალია)* (1:4)

*ლოპესმა ვერ გაიტანა პენალტი (57, მჯარე)*

ლაციო: მარკეჯანი, ოდო, ფ. კოუტუ, მიხაილოვიჩი, სეზარი, ჯანიკედა (ფიორე 50), ლივერანი (დ. ბაჯო 67), დ. სტანკოვიჩი, კიეზა (ლაზეტიჩი 58), ს. ინძაგი, კ. ლოპესი

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

პორტუ: ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, ალენიჩევი (პედრუ ემანუელი 89), რიკარდუ კოშტა, დეკო სოუზა (ტიაგუ 80), მ. რიბეირუ, დერლეი სილვა (იანკაუსკასი 85), პოსტიგა

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: ჯანიკედა, სეზარი, პოსტიგა, ლივერანი, ჟორჟე კოშტა

გაძევება: სეზარი (45), პოსტიგა (45)

მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

72 000 მაყურებელი

ბოავიშტა (პორტუგალია) 0:1 *სელტიკი (შოტლანდია)* (1:1)

0:1 ლარსონი (79)

ბოავიშტა: რიკარდუ, მარტელინიუ, ავალოსი, ედერი, მარიუ, ფილიპე, პედრუ სანტუში, პედროსა (იური 84), ე. ლიმა (ჟოსივალტერი 80), დუდა ვენტურა, ელპიდიუ სილვა (კლაუდიუ 69)

მწვრთნელი: ჟაიმე პაშეკუ

სელტიკი: დუგლასი, ვალგაერენი (ჯ. სმიტი 75), ბალდე, მიალბი, აგატი, ლენონი, ლამბერტი (სატონი 34), ს. პეტროვი, ა. ტომპსონი, ლარსონი, ჰართსონი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

გაფრთხილება: მიალბი

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

11 000 მაყურებელი

## ფინალი

## სელტიკი — პორტუ

21 მაისი. სევილია. „ოლიმპიური"

*უეფას თასის ფინალისტებიც გაირკვნენ. 21 მაისს, სევილიაში „სელტიკი" და „პორტუ" შეეცილებიან ერთმანეთს ჯილდოს.*

*ერთი ფინალისტი რომ „პორტუ" იქნებოდა, ფაქტობრივად, პირველი მატჩის მერე იყო გადაწყვეტილი. რა ღმერთი უნდა გაწყრომოდათ პორტუგალიელებს საშინაო 4:1-ის მერე, „სტადიო ოლიმპიკოზე" 0:3 წაეგოთ. მაგრამ ფრთხილად ყოფნა მაინც მართებდათ — მატჩის წინ „ლაციოს" მწვრთნელი რობერტო მანჩინი იმუქრებოდა.*

*თამაშიც ისეთი წავიდა, მეტოქეთა მიზნებს რომ შეესაბამებოდა: „ლაციო" გამალებით უტევდა, „პორტუ" თავს იცავდა და ტემპის დაგდებას ცდილობდა. სტუმრებს იერიშებით თავი მაინცდამაინც არ გამოუდიათ, ლუკა მარკეჯანის კარისკენ პირველად მე-17 წუთზე დაარტყეს.*

*და მაინც, „ლაციოს" შეეძლო ფინალში გასვლა. როგორ? ჯერ იყო და, კლაუდიო ლოპესმა ძელს გაარტყა, მერე კი მანვე პენალტი გააფუჭა — ვიტორ ბაიამ აუღო. ჰოდა, ამ ორ ეპიზოდში რომაელებს მეტი იღბალი რომ ჰქონოდათ, მეტი მონდომებითაც შეუტევდნენ და ეგებ მესამეც გაეტანათ. თუმცა ამაზე სიტყვის გაგრძელება არ ღირს. მოსახდენი მოხდა და „პორტუ" ფინალშია, რომელშიც წმინდა პორტუგული დაპირისპირება აღარ შედგება.*

*„ბოავიშტას" 11 წუთიც უნდა გაეძლო და თამაშიც მისთვის სასურველი შედეგით დასრულდებოდა, აქ კი ჰენრიკ ლარსონმა სეზონში თავისი მე-40 გოლი გაიტანა. გეხსომებათ, რომ პირველ მატჩში, გლაზგოში, ლარსონმა პენალტი გააცუდა და შეცდომა ახლა გამოასწორა. მთლიანობაში კი თამაში მოსაწყენი იყო.*

*ამგვარად, ფინალში გავიდნენ გუნდები, რომლებსაც არასდროს მოეგოთ უეფას თასი. სამაგიეროდ, ორივენი თავის დროზე ჩემპიონთა თასის მფლობელები არიან.*

## საფრანგეთი

**მეორე დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

სენტ ეტიენი 1:0 ტულუზი

## დანია

**სუპერლიგა**
**გადადებული მატჩი**

ფარუმი 2:0 ორჰუსი

**თასის 1/2 ფინალი**
**პირველი მატჩები**

ბრონდბიუ 1:0 ოლბორგი

ვიბორგი 0:0 მიდტიულანდი

## ლაციო — პორტუ




REUTERS

ვიტორ ბაიამ კლაუდიო ლოპესს პენალტის გატანაც არ დაანება

## ბოავიშტა — სელტიკი



REUTERS

„სელტიკი" ფინალში ჰენრიკ ლარსონის მე-40 საამსეზონო გოლით გავიდა



REUTERS

გლაზგოელთა მენეჯერმა მარტინ ონილმა, ცხადია, გაიხარა




გლაზგოელმა აგატიმ მარიო ლოგა ბურთთან არ მიუშვა

## ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

# ნუ შეახსენებთ მანჩესტერს მთას

**მანჩესტერი 4:3 რეალი (1:3)**

**0:1 რონალდო (12), 1:1 ვან ნისტელროი (43), 1:2 რონალდო (50), 2:2 ელგერა (52ს.კ.), 2:3 რონალდო (59), 3:3, 4:3 ბექჰემი (71, 84)**
**მანჩესტერი: ბარტეზი, სილვესტრი (ფ. ნევილი 79), ბრაუნი, ფერდინანდი, ოში, გიგზი, კინი (ფორჩუნი 82), ბათი, ვერონი (ბექჰემი 63), სოლსკიაერი, ვან ნისტელროი**
**მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი**
**რეალი: კასილიასი, სალგადო, იერო, ელგერა, რობერტო კარლოსი, მაკელელე, ზიდანი, მაკმანამანი (პორტილიო 69), გუტი, ფიგუ (პავონი 88), რონალდო (სოლარი 67)**
**მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე**
**გაფრთხილება: ვერონი, ფიგუ, ფორჩუნი**
**მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)**
**66 708 მაყურებელი**

„ეს ძალიან სწორი და გასაგები გადაწყვეტილება იყო. სოლსკიაერი მარჯვენა ფრთაზე ფანტასტიკურად თამაშობს. დღესაც, სამჯერ თუ ოთხჯერ საოცრად შეუტია კარს, მეტოქეს რეალურ ხიფათს უქმნიდა და სწორედ ეს მოეთხოვებოდა. როდესაც ფეხბურთელი ასეთ ფორმაშია, მისი სათადარიგოთა სკამზე დასმა მხოლოდ იმიტომ, რომ ადრე სათადარიგო იყო, შეცდომაა. ამიერიდან მას სათადარიგო ფეხბურთელად ველარ ჩავთვლი, იგი იმსახურებს ადგილს ძირითად შემადგენლობაში" — ასე მიუგო „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა, ალექს ფერგიუსონმა მათ, ვინც დევიდ ბექჰემის სკამზე ჯდომა და მის ადგილზე სოლსკიაერის სირბილი ვერ გაიგო.

ბექჰემი საქმეში მეორე ტაიმში ჩაერთო და, ჩვენი აზრით, ვარსკვლავურად ითამაშა.

„მან გოლი გაიტანა და ძალიან დიდი სამუშაო გასწია. დევიდისგან ამას ველოდი კიდეც, იგი ხომ ძალიან კარგი ფეხბურთელია" — განაცხადა შემდეგ ფერგიუსონმა.

რამდენად მართალია „იუნაიტედის" თავკაცი და ბექჰემის ნაცვლად სოლსკიაერის თამაშის ნამდვილი მოტივი მართლა ის იყო თუ არა, რაც თქვა, მხოლოდ ეჭვის და კამათის საბაბს გვაძლევს, მეტი არაფერი. ვინ იცის, ყველაფერი ბექჰემის „რეალში" გადასვლაზე აგორებული ჭორების გამო მოხდა ან სულაც სხვა მიზეზი იყო, მოდი და გაიგე.

და, რამდენად მართალი იყო მადრიდელთა მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე, როდესაც მეორე ტაიმის შუაში სამი გოლის ავტორი რონალდო შეცვალა? ჩვენი აზრით ამ კითხვაზე უფრო მკაფიო პასუხის გაცემა შეიძლება — დელ ბოსკემ გაუმართლებლად გარისკა. რონალდო მოედანზე რომ ყოფილიყო, მეორე ტაიმის მიწურულს, ალბათ, სხვა სურათი იქნებოდა, ნაწილობრივ მაინც.

ცნობისთვის: „ოლდ ტრეფორზე" „მანჩესტერისთვის" ერთ შეხვედრაში სამი გოლი 1992 წლის შემდეგ არავის გაუტანია. 11 წლის წინ ეს „ქუინზ პარკ რეინჯერსის" თავდამსხმელმა დენის ბეილიმ შეძლო.

„დღეს ვიხილეთ ორივე გუნდის ტრადიციათა შესაბამისი ფეხბურთი. ვფიქრობ, „რეალმაც" კარგად იცოდა, რომ ეს მატჩი „იუვენტუსთან" შეხვედრისგან ძალიან განსხვავებული იქნებოდა. ასეთ მატჩებში მონაწილეობა დიდი სიამოვნებაა, ასეთ მატჩებში ფეხბურთელები უსაზღვრო ფანტაზიას ავლენენ — განაგრძო ფერგიუსონმა — გამარჯვებამ ჩვენი შესაძლებლობები წარმოაჩინა. იმთავითვე ვიცოდი, რომ თუ მადრიდელებს მათ ნახევარს მივაჯაჭვავდით შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი გვექნებოდა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. იქნებ შეხვედრის გადამწყვეტი მომენტი ის იყო, სებამ (ვერონი) რომ დაარტყა და მაკარემ აუღო. მაშინ 2:1 რომ გაგვეხადა, ვინ იცის, რა მოხდებოდა. ახლა კი „რეალს" წარმატებას ვუსურვებ. მადრიდელებს თასის მოპოვების დიდებული შანსი აქვთ. ძნელია, მათზე ძლიერი გუნდის დასახელება".

ახლა „რეალის" თავკაცს, ვისენტე დელ ბოსკეს მოვუსმინოთ: „მთელი შეხვედრის განმავლობაში ვღელავდი და თავს მოუსვენრად ვგრძნობდი. ორივე გუნდს ჰქონდა გამარჯვების შანსი. იქნებ უფრო სამართლიანი შედეგი ფრე ყოფილიყო, თუმცა მთავარი ნახევარფინალში გასვლა იყო და გავედით კიდეც. დღეს რონალდოს დღე იყო. მას სამი მომენტი შევუქმენით და სამივე გამოიყენა. გარდა ამისა, სანამ მოედანზე იყო, იბრძოდა და ამიერიდან დიდ მიზანს მისი წყალობით ვისახავთ. ერთი სიტყვით, სამ იტალიურ გუნდს შორის დავრჩით და ტიტულის შენარჩუნებას შევეცდებით".

„გაკვეთილი უნდა მივიღოთ, ჭკუა უნდა ვისწავლოთ. ისეთ გუნდებთან, როგორიც მადრიდის „რეალია", გოლის გაშვება არ შეიძლება. ხომ ნახეთ, მეტოქის კართან კვლავ ბევრი მომენტი შევქმენით, მაგრამ თავად ავიგეთ დიდი მთა, რომელზე ასვლაც უკვე ჩვენ ძალებს აღემატებოდა. ნუ შეგვახსენებთ, თავადაც კარგად ვიცით, რომ ერთი და იმავე ტიპის გოლებს ვუშვებთ. ერთი სიტყვით, ევროშეჯიბრებაში გული გაგვიტყდა. ისევ გავედით პლეიოფში, მაგრამ ჯილდომდე ძველებურად ვერ გადავლგით დარჩენილი ნაბიჯები. ფინიშს ბევრი გუნდი უახლოვდება, დარჩენილ რამდენიმე მეტრს კი ყველა ვერ ძლევს" — ეს სიტყვები „იუნაიტედის" ვეტერან ბურჯს, ირლანდიელ როი კინს ეკუთვნის.

იყო კიდევ ერთი თვალშისაცემი მომენტი — დელ ბოსკემ ნახევარდაცვაში, ფლავიო კონსეისაოს ნაცვლად დიდი ხნის მივიწყებული სტივ მაკმანამანი ათამაშა. რატომ? თავად დელ ბოსკე ასე ამბობს:

„მისი ყოველთვის მწამდა. იგი ბურთს კარგად ფლობს, ინარჩუნებს, გარდა ამისა, თამაშს ამწვავებს და რობერტო კარლოსს სივრცეებს უთავისუფლებს. მის გვერდით ზინედინ ზიდანიც უფრო თავისუფლად მოქმედებს".

მაშინ, აქამდე სად იყავი? — ჩნდება ბუნებრივი კითხვა. ვფიქრობთ, აქ მიზეზი ზიდანის თავისუფლება და სხვა ამგვარი რამეები კი არა, მაკმანამანის ინგლისელობაა — თამაში ხომ ინგლისში იყო და მწვრთნელმა თავის მოთამაშეს თანამემამულეთა წინაშე გასვლის საშუალება მისცა. მაკმანამანმაც ძალიან კარგად ითამაშა. სამწუხაროა, ეს ფეხბურთელი ხშირად რომ ვერ ხვდება ვარსკვლავებით გადატვირთული გუნდის ძირითად შემადგენლობაში.

საზოგადოდ, ასეთი შეხვედრების მომიხილვა ძნელი საქმეა, უმნელესი. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ თამაშმა თითოეულ მაყურებელში გრძნობათა უღიდესი აფეთქება გამოიწვია, ხოლო ამ მუხტის ადეკვატური აღწერა, შეუძლებელი გახლავთ. მერე, მატჩი ერთფეროვანი არ ყოფილა, ბევრჯერ და ბევრნაირად გადასხვაფერდა, ჰქონდა უამრავი განშტოება და რომელ ერთზე შევაჩერო ყურადღება? მსვლელობაზე? ტაქტიკაზე? საშემსრულებლო მხარეზე? ატმოსფეროზე? წინაისტორიასა და ისტორიაზე? ესთეტიკურ მხარეზე?

ვფიქრობ, ზოგადი მოთხოვნილების მეტ-ნაკლები დაკმაყოფილება გაზეთ „სანიდან" ფეხბურთელთა შეფასების გადმოწერით შეიძლება. ცხადია, „სანი" სულაც არ არის ერთადერთი ექსპერტი და მის შეფასებას თუ არ ვეთანხმებით, არც ამით დაშავდება რამე, მაგრამ საინტერესოა. „სანის" ვერსია კი ასეთია:

*„რეალი": კასილიასი — 9 (წერია, რომ 21 წლისაა და ბრწყინვალედ ითამაშა), სალგადო — 7, იერო — 6, ელგერა — 5, რობერტო კარლოსი — 7 (წერია, რომ პირველ შეხვედრაში გაცილებით საზიფათო იყო, საპასუხოში კი „ჩაკეტეს", მაგრამ მისი უყურადღებოდ დატოვება ერთი წამით არ შეიძლება), ზიდანი — 7 (წერია, რომ მის დარად ბურთს არავინ ფლობს), მაკმანამანი — 6, ფიგუ - 6 (წერია, რომ პირველ შეხვედრაში უფრო ძლიერი იყო), მაკელელე — 7, რონალდო — 10 (წერია, რომ ოცნების გუნდის ვარსკვლავია, რომელსაც მოედნიდან გასვლისას მთელი „ოლდ ტრეფორდი" ფეხზე წამოუდგა), გუტი — 7, სოლარი — 6, პორტილიო — 5, პავონი — 4.*

*„მანჩესტერი": ბარტეზი — 5 (წერია, რომ რაც „იუნაიტედში" მეცხრედ ითამაშა დამაჯერებლად და პირველი გოლი არ უნდა გაეშვა), ოში — 7, ფერდინანდი — 5, ბრაუნი — 5, სილვესტრი — 6, ვერონი — 5 (წერია, რომ ტრავმის გამო ცხრა მატჩის გამოტოვების შემდეგ სათადარიგოთა გუნდშიც კი არ უთამაშია, ისე შეუშვეს უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში. ინიციატივა ვერ გამოიჩინა), ბათი — 6, კინი — 7 (წერია, რომ მანჩესტერელთაგან ყველაზე მეტად ეკუთვნოდა თასი), ვან ნისტელროი — 8 (წერია, რომ დიდებული ფეხბურთელია), გიგზი — 6, სოლსკიაერი — 7 (წერია, რომ მარჯვნიდან ბექჰემზე უკეთ უტევს), ბექჰემი — 7, ფ. ნევილი — 6, ფორჩუნი — 4.*

**პაპუნა ძედია**




MAN UNITED 4 REAL MADRID 3
(Real win 6-5 on agg)
CHEST EVER
Ron hat-trick puts Becks & Co out in an all-time classic

„რეალმა" გაიხარა, „სანმა" კი ბექჰემი და „მანჩესტერი" გააშიშვლა



REUTERS

ალექს ფერგიუსონი და „იუნაიტედის" სათადარიგოები მთელი მატჩი ადგილს ვერ პოულობდნენ




ოლე გუნარ სოლსკიაერს თამაში მოუწონეს, რობერტო კარლოსი კი ორი კვირის წინ უკეთესი იყო




# ჩვენი დროის რაინდი




რონალდოს მთელი „მანჩესტერი" ტყუილად დასდევდა

მეოცე საუკუნის გარიჟრაჟიდან მოყოლებული, სპორტული სამყაროს უსაყვარლეს ტერმინ-გამოთქმებში, სიტყვა „ჩემპიონი" პირველთაგანია. ძველ დროში, რაინდულ შუა საუკუნეებში, კასტილიურ ენაზე „ჩემპიონის" მნიშვნელობა თანამედროვე ვარიანტით არ ესმოდათ, რამეთუ მაშინ სპორტის რაობაც სხვაგვარად ესმოდათ.

ესპანეთი ტრადიციულად ფათერაკის მაძიებელთა, თავზეხელაღებულ ავანტიურისტთა, კეთილშობილ კაბალიეროთა ქვეყანა იყო და „ჩემპიონიც" (el campeon) იმ უფეხბურთო ეპოქაში „გამარჯვებულ რაინდს" ნიშნავდა. ამ რაინდებზე საგმირო სიმღერა-ბალადებს თხზავდნენ და ისინი სიცოცხლეშივე იქცნენ უკვდავ ლეგენდებად.

მერე დრო გავიდა, კაბალიეროთა საჭურველი ისტორიის გარდერობს მიებარა.

23 აპრილის საფეხბურთო მატჩს, „ოლდ ტრეფორდზე", „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „რეალს" შორის ვერც ფილიპე V-ის დროინდელი „დიდი არმადის" გალაშქრებას დავარქმევთ ნისლიანი ალბიონისკენ და ვერც კიდევ სხვა რომელიმე ძველებურ ხმალთაკვეთებას, მაგრამ როგორც ყველა ბრძოლას, თუნდაც სპორტულს, შეეფერება, ერთი გამორჩეული გმირი აქაც იყო — რონალდო ლუის ნასარიო დე ლიმა.

ბედნიერი „რეალის" ბედნიერ ბედზე შეძენილმა ბრაზილიელმა კაცმა სამგზის დალაშქრა ინგლისის საუკეთესო გუნდის კარი და მთელს „ოლდ ტრეფორდსა" და ტელევიზორებზე მიშტერებულ დანარჩენ მსოფლიოს დაუმტკიცა თავისი საფეხბურთო სიდიადე.

ადრე სიმღერებს თხზავდნენ და ამ ჩვენ კიჭა რაინდსაც არ დაკლებია ბალადა-დითირამბები.

ვისენტე დელ ბოსკე, „რეალის" მწვრთნელი: „პრესში იწერებოდა, რომ ეს თამაში შეიძლება რონალდოს მატჩად ქცეულიყო და ასეც მოხდა. მოწინააღმდეგეს საკმაოდ შემტევი დაცვის ხაზი ჰყავდა და ეს ჩვენ კონტრშეტევებზე თამაშის საშუალებას გვაძლევდა. რონალდომ უდიდესი ეფექტურობა გამოამჟღავნა, იგი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი მოთამაშეა."

**რობერტო კარლოსი**, „რეალის" ვარსკვლავი და რონალდოს თანამემამულე ძმაკაცი: „რონალდო მე აბსოლუტურად არ მაოცებს. 8 წლის ასაკიდან ვიცნობთ ერთმანეთს და ვიცი, რომ გაცილებით მეტიც შეუძლია."

**ფლორენტინო პერესი**, „რეალის" პრეზიდენტი: „რონალდო მსოფლიოს საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელია."

**სანტიაგო სოლარი**, მადრიდელი ფეხბურთელი: „რონალდო დიდებული იყო და შემდეგ ეტაპზე გასვლაში დიდად დაგვეხმარა."

**ხორხე ვალდანო**, „რეალის" სპორტული დირექტორი: „სამჯერ დაარტყა და სამივე გაიტანა. აი, რატომ იხარჯება „რეალი" მსგავს მოთამაშეთა შესაძენად. სახიფათო ეპიზოდები მეტოქესაც ჰქონდა, მაგრამ ვერ იხეირა. საგოლე სიტუაციას გამოყენება უნდა."

ესპანური პრესაც არანაკლებ აღფრთოვანებული დარჩა. სპორტულმა გაზეთმა „მარკამ" ბრაზილიელის მისამართით საქებარი ეპითეტები არ დაიშურა და თავფურცელიც შესაბამისი სათაურით შეამკო: რონის შოუ, „ელ მუნდომ" „რეალის" თავდამსხმელი „ვულკანის აფეთქებას" შეადარა, „ელ პაისმა" კი „დიდებული მატჩის მეფედ" მოიხსენია.

თვით ბრაზილიელმა კი, აი რა თქვა: „მთავარ მოქმედ პირად თავს არ ვთვლი, მაგრამ ნამდვილად კარგად ვითამაშე. სიტუაციას მთელი მატჩის განმავლობაში ჩვენ ვაკონტროლებდით და საგოლე მომენტებიც გამოვიყენეთ. მთავარი მაინც გუნდი იყო და არა მე, ჩვენი მიზანი ნახევარფინალში გასვლა იყო და ამას მივაღწიეთ კიდეც."

**ლადო ხომერიკი**

# კუმანის ვერსია
## ილბლით:2




რონალდ კუმანი

*მილანი* 3:2 აიაქსი (0:0)

1:0 ინძაგი (30), 1:1 ლიტმანენი (63), 2:1 შევჩენკო (65), 2:2 პიენაარი (78), 3:2 ტომასონი (90)

**მილანი:** დიდა, შიმიჩი (ტომასონი 84), ნესტა, მალდინი, კოსტაკურტა, პირლო (რივალდო 80), ბროკი, ამბროზინი, რუი კოშტა (რედონდო 85), შევჩენკო, ინძაგი

**მწვრთნელი:** კარლო ანჩელოტი

**აიაქსი:** ლობონტი, ტრაბელსი, პასანენი, კივუ, ვან დამი (ლიტმანენი 46), იაკუბუ, სნეიდერი, ობრაიენი, პიენაარი (დე იონგი 84), იბრაჰიმოვიჩი, ვან დერ მეიდე (ბერგდოლმო 89)

**მწვრთნელი:** რონალდ კუმანი

**გაფრთხილება:** ამბროზინი, კოსტაკურტა, პასანენი

**მსაჯი:** მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

76 079 მაყურებელი

კარლო ანჩელოტიმ, ვინაც, მოგეხსენებათ, „მილანის" მწვრთნელია, დიდად შეაქო თავისი ფეხბურთელები, ოღონდ კარგი თამაშის გამო კი არა, მტკიცე ხასიათისთვის. სწორედ ამ ხასიათის წყალობით სძლია „მილანმა" „აიაქსს" და ნახევარფინალში გავიდა.

იონ დალ ტომასონმა პირველ წამატებულ წუთზე ფილიპო ინძაგის დარტყმულ და ისედაც კარში მიმავალ ბურთს ფეხი წაჰკრა და ამ გოლის გამო ნახევარფინალში მილანური დერბი შედგება. „ვაღიარებ, რომ ცოტა იღბალიც დაგვეხმარა, მაგრამ მთლიანობაში გამარჯვება დავიმსახურეთ — თქვა ანჩელოტიმ — ბრძოლა ბოლო წამამდე არ შეგვიწყვეტია. „აიაქსმა" ძალიან ძლიერად ითამაშა, მაგრამ საგოლე მომენტებს თუ დავითვლით, ჩვენ მეტი შევქმენით".

„აიაქსი" ორჯერ აღმოჩნდა მდევრად, ამდენჯერვე „მილანიც", ანგარიში კი თამაშის დაწყებიდან ნახევარი საათის თავზე გაიხსნა. ანდრეი შევჩენკო მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და საჯარიმოში ჩააწოდა. ბურთი ვან დამს მოხვდა და მისდა საუბედუროდ სრულიად მარტო მყოფ ფილიპო ინძაგისკენ გაფრინდა, ვინაც ზუსტი თავური დასცხო.

შესვენებისას, რაკი „აიაქსს" უსიკვდილოდ სჭირდებოდა გოლი, რონალდ კუმანმა მარჯვენა მცველი ვან დამი იარი ლიტმანენით შეცვალა და გაუმართლა. ფინელმა, რომელიც ზლატან იბრაჰიმოვიჩის უკან, მეორე თავდამსხმელად ჩაება თამაშში, ანგარიში გაათანაბრა. ვან დერ მეიდემ შორეულ ძელთან ჩაჰკიდა და იქვე მყოფ ლიტმანენს ამ შანსის გაფუჭების უფლება არ ჰქონდა.

თუმცა მასპინძელთა ვაებამ და სტუმართა სიხარულმა სულ რაღაც წუთნახევარი გასტანა. მილანელთა მეორე გოლი რაღაცით წააგავდა პირველს. ამჯერად ინძაგიმ ჩაჰკიდა, პასანენისგან ასხლეტით ბურთი შევჩენკოს მიუვიდა და ამანაც თავი დასცხო.

ამის მერე „აიაქსი" მალიმალ აწუხებდა იტალიელთა დაცვას, გოლს კი თორმეტ წუთში გამორჩა. ვან დერ მეიდემ იბრაჰიმოვიჩს ჩააწოდა, ბოსნიური წარმოშობის შვედმა შორეული ძელისკენ გადაგზავნა, სადაც პიენაარი ჩასაფრებულიყო. პიენაარის პირველი დარტყმა მცველებმა მოიგერიეს, მაგრამ სამხრეთაფრიკელმა, უკვე თითქმის წაქცეულმა, დამატებაზე ივარგა და აფრიკულადაც წაუცეკვა.

დრო იწურებოდა, თამაშის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე შევჩენკომ დიდებული მომენტი ვერ გამოიყენა, მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ლობონტმა ბურთი ფეხით მოიგერია, ბოლოს კი ინძაგი-ტომასონის გოლიც გავიდა და...

„საოცრად ბედნიერი ვარ — დასძინა ანჩელოტიმ — მით უფრო, ჩვენს მძიმე მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, თამაშამდე ხომ რამდენიმე ფეხბურთელი დავკარგეთ. ამასთანავე, წინა შაბათს „ემპოლისთან" მარცხმა გუნდზე დამთრგუნველად იმოქმედა, ყოველი მხრიდან გვაკრიტიკებდნენ. ამიტომ ჩვენთვის ორმაგად მნიშვნელოვანი იყო ამ მატჩის მოგება, ნახევარფინალში „ინტერთან" დერბი კი, გპირდებით, უბადლო სანახაობა იქნება".

ანჩელოტისგან განსხვავებით, რონალდ კუმანს დანა პირს რომ არ გაუხსნიდა, რა გასაკვირია: „აიაქსი" უკეთ თამაშობდა, მაგრამ ეს ფეხბურთია, რომელშიც უძლიერესი ყოველთვის ვერ იმარჯვებს. ბოლო გოლისას კრისტიან კივუს ფეხი დაუცდა, რამაც ინძაგის ბურთის თავისუფლად მიღების საშუალება მისცა. განა ეს იღბლის ამბავი არ არის? იტალიელებს პირველი ორი გოლის დროსაც გაუმართლათ. ორჯერვე, ფლანგური ჩაწოდებებისას ბურთი ჩვენს მცველებს მოხვდა და მაინცდამაინც მეტოქის ფორვარდებს მიუვიდა".

მაგრამ დამარცხების მიუხედავად, „აიაქსი" ამაყად ტოვებს ლიგას, ზლატან იბრაჰიმოვიჩი კი იმუქრება, წლეულს გამოცდილება გავიღრმავეთ და გაისად განახებთ, რა გუნდიც ვართო.

„მილანს" კი „ინტერი" ელის.

**ირაკლი ნინიძე**




პიენაარის ამ დარტყმის მერე „მილანს" საშინელი 12 წუთი ჰქონდა

## რუსეთი

**პრემიერლიგა. VI ტური**

**ჩერნომორეცი 0:1 ცსკა**
0:1 გოგნიევი (70)

**როსტოვი 3:1 სპარტაკ-ალანია**
1:0 ოსინოვი (16პ), 1:1 გ. ბაზაევი (37პ), 2:1 კრუშიჩი (45), 3:1 კანიენდა (53)

**სატურნი 1:1 კრილია სოვეტოვი**
1:0 პავლოვიჩი (60), 1:1 ოვიე (90)

**სპარტაკი 1:1 ზენიტი**
0:1 სპივაკი (16პ), 1:1 პავლენკო (26)

**რუბინი 0:0 ურალანი**

**როტორი 0:0 შინიკი**

**დინამო 1:2 ტორპედო**
0:1 ბოლიხოვი (23), 0:2 სემშოვი (55), 1:2 ალბერტო (79)

**ლოკომოტივი 1:0 ტ. მეტალურგი**
1:0 პარკსი (3)

ცსკა-მ რუსეთის ნაკრების ახალწვეულის, სპარტაკ გოგნიევის გოლის წყალობით გაიმარჯვა. გოგნიევს ვალერი გაზაევმა სამი დღის წინ სათბილისოდ უხმო და ნოვოროსიისკში შეცვლაზე ათამაშა. გოლის ავტორი მოგვიანებით უხეშობისთვის გააძევეს: „ამ სეზონში ნორმალურ მოედანზე პირველად ვიბურთავეთ. კარგია, რომ გავიტანე, მაგრამ გაძევებამ ოდნავ გუნება წამიხდინა" — თქვა ფეხბურთელმა.

ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცი" ის გუნდია, 2000 წლის სეზონში „დინამო", ცსკა, „ტორპედო" და „ლოკომოტივი" შინ საერთო ანგარიშით 11:0 რომ დაამარცხა. სხვათა შორის, მაშინ ზღვისპირელთა პირველი მსხვერპლი მოსკოვის „დინამო" იყო, რომელსაც ვალერი გაზაევი წვრთნიდა.

# დონის აფრიკული დონე

გასულ ტურში „როტორთან" მარცხის შემდეგ მწვრთნელმა ცსკა-ს ძირითად შემადგენლობაში ნაკრების წევრები — ვასილი ბერეზუცკი და იგორ იანოვსკი არ შეიყვანა.

პირველი ტაიმის მიწურულს სტუმრებს ორი საგოლე მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ჯერ იაროშიკმა, მერე კი პოპოვმა ვერ გაიტანეს. სამაგიეროდ, მეორე ნახევარში კირიჩენკოს პასი გოგნიევმა შეირგო და თერთმეტიოდ მეტრიდან გამარჯვების გოლი შეაგდო. ეს „ჩერნომორეცის" პირველი მარცხი იყო ამ სეზონში.

„სპარტაკი" — „ზენიტის" მატჩიც საინტერესო გამოდგა, ოღონდ ფეხბურთით კი არა, გულშემატკივრების საქციელით. პოლიციამ ოთხმოცამდე გალეშილი ქომაგი შეაგროვა და, როგორც წესი, გამოსაფხიზლებლებში დაარიგა.

თავად შეხვედრა არცთუ თვალსაჩინო გახლდათ. ორივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა. ჯერ ლუიზაო დაჯარიმდა კერჟაკოვზე და სპივაკმა თერთმეტმეტრიანი ზუსტად შეასრულა, მერე ბარანოვის პასით პავლენკომ გაათანაბრა. შესვენების შემდეგ „სპარტაკმა" სტუმრები აშკარად დაჩაგრა, თუმც მეორე გოლი მაინც ვერ გამოწურა.

რამენსკოეში „სატურნის" არგენტინელმა ლეგიონერმა პავლოვიჩმა ჩემპიონატში თავის მეორე გოლი მიითვალა. მან წინა ტურში „ტორპედო-მეტალურგთანაც" იყოჩაღა და ამჯერადაც შეცვლაზე შესულმა ბრწყინვალე თავურით თავისიანები დააწინაურა. მასპინძლებს სამი ქულა უკვე ჯიბეში ეგულებოდათ, მაგრამ ბოლო წამებზე ოვიემ ტიხონოვის პასით გაათანაბრა და „კრილიამ" სამარაში ფრე გაიყოლა. აღსანიშნავია, რომ თავად „სატურნმა" წინა ტურში „ტორპედო-მეტალურგს" გამარჯვება სწორედ დამატებულ წუთზე გამოსტაცა.

ერთადერთი დაუმარცხებელი რუსულ პრემიერლიგაში დონის როსტოვის „როსტოვია". დონისპირელებმა ბლომად აფრიკელი ფეხბურთელები მოხვეტეს და მწვრთნელის, სერგეი ბალახნინის მეცადინეობით საკმაოდ სოლიდური გუნდი შეკრეს. „სპარტაკ-ალანია", როგორც ჩანს, ვლადიკავკაზში ბევრად უკეთესად თამაშობს, ვიდრე სტუმრად. იგი ყაზანში „რუბინთან" დიდი ანგარიშით დამარცხდა. ვლადიკავკაზელები როსტოვში აგებდნენ, მალევე გაათანაბრეს, მაგრამ საბოლოოდ წააგეს.

„სპარტაკ-ალანიას" ფეხბურთელები მათ კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანის გამო მსაჯს კარგა ხანს ეკამათნენ და არც ტყუოდნენ. მასპინძელი ჰენდრიკსი სტუმართა საჯარიმოში პრანჭვა-გრეხვით დაეცა და არბიტრმა პენალტი დანიშნა. ოსინოვმა ზუსტად შეასრულა და „როსტოვი" დააწინაურა. მსაჯმა ტაიმის მიწურულს შეცდომა გამოისყიდა და აშვეთიას წაქცევისთვის თერთმეტმეტრიანით როსტოველები დასაჯა, პენალტი ბაზაევმა გამოიყენა. შესვენებამდე დონისპირელებმა მეორე გოლის გატანაც მოახერხეს. კრუშიჩმა ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო დარტყმა და გონჩაროვი უშანსოდ დატოვა.

მეორე ტაიმის დასაწყისში კანიენდამ სხვაობა ორამდე გაზარდა. მოგვიანებით როსტოველი კამპაბა შეცდა, აშვეთიამ მისი პასი ჩაჭრა, მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ვერ აჯობა.

**გაგა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 6 | 5 | 0 | 1 | 13:6 | 15 |
| როსტოვი | 6 | 3 | 3 | 0 | 7:3 | 12 |
| სატურნი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:6 | 11 |
| ზენიტი | 6 | 3 | 2 | 1 | 6:4 | 11 |
| დინამო | 6 | 3 | 1 | 2 | 7:6 | 10 |
| ალანია | 6 | 3 | 0 | 3 | 7:11 | 9 |
| რუბინი | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 8 |
| ტორპედო | 6 | 2 | 2 | 2 | 6:9 | 8 |
| ჩერნომორეცი | 6 | 1 | 4 | 1 | 5:5 | 7 |
| ლოკომოტივი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:9 | 7 |
| როტორი | 6 | 1 | 3 | 2 | 7:6 | 6 |
| სპარტაკი | 6 | 1 | 3 | 2 | 7:8 | 6 |
| კრილია | 6 | 0 | 5 | 1 | 5:6 | 5 |
| შინიკი | 6 | 0 | 5 | 1 | 4:5 | 5 |
| ურალანი | 6 | 0 | 3 | 3 | 3:6 | 3 |
| ტ. მეტალურგი | 6 | 0 | 2 | 4 | 4:8 | 2 |



სპარტაკი — ზენიტი. ვისი რომელი ფეხია, ფერის მიხედვით თუ გაარჩევ: მოსკოველთა ბრაზილიელი ლუიზაო და პეტერბურგელი კერჟაკოვი




# აიბაბა და აი, თასი!

## ჩაის სმა დაღლამდე გაგრძელდა

## თურქეთი

**თასის ფინალი**

**გენჩლერი 1:3 ტრაბზონი**

თურქეთის თასის ფინალი ანთალიაში გაიმართა. ამ სეზონში ბრწყინვალედ მოთამაშე ანკარის „გენჩლერბირლიგი" (ჩვენებურად ახალგაზრდების კავშირს ნიშნავს) „შავი ზღვის ქარიშხალს", „ტრაბზონსპორს" შეხვდა.

წლეულს ტრაბზონი არაა ურიგო ფორმაში, მიუხედავად იმისა, რომ ლიდერთა სამეულს გვარიანად ჩამორჩება. „გენჩლერი" ჩემპიონატის მანძილზე მატჩებს ისეთი ანგარიშები იგებდა, ნებისმიერი მომდევნო მეტოქეს მუხლები უკანკალებდა. „გენჩლერმა" ჩემპიონატში „ტრაბზონს" ანკარაში მოუგო, ტრაბზონში კი დაუზავდა.

ანთალიურ ფინალს წინ დიდი ხელჩართული ბრძოლა უძღოდა. „შავი ზღვის ქარიშხლის" ფანობას იქ მეორე ლიგაში გავარდნილი „ანთალიასპორის" ქომაგები დაუხვდნენ. ლანძღვა-გინების გაცვლა-გამოცვლას შეტაკება მოჰყვა. გულშემატკივრები ერთმანეთს ჯოხებით დაერივნენ და საქმეში ხელკეტიანი ფორმიანების ჩარევის შემდეგ დაამშვიდეს.

რაც შეეხება თავად ფეხბურთს, „ტრაბზონსპორის" მწვრთნელმა სამეტ აიბაბამ მისი ანკარელი კოლეგა ურსურ იანალი მოედანზე ჭიდილში აშკარად დაჩაგრა. 2001-ში აიბაბა „გენჩლერბირლიგს" თვითონ წვრთნიდა.

ანკარელთა რბევა პირველ ტაიმშივე დაიწყო. მეჰმეთ ილმაზმა კარიდან საამო გოლი მეცხრე წუთზევე გაიტანა. სანამ მეტოქე გონს მოვიდოდა, გოკდენიზმა სხვაობა ორამდე გაზარდა, მერე კი „გენჩლერმა" აჰმედ ჰასანის ზუსტი დარტყმით ერთი გაქვითა.

შესვენების შემდეგ „ტრაბზონსპორს" უამრავი საგოლე მომენტი ჰქონდა. დედაქალაქელები გასათანაბრებლად უტევდნენ, რითაც „შავი ზღვის ქარიშხალი" სარგებლობდა და კონტრშეტევებით პასუხობდა. „გენჩლერბირლიგის" მეკარე გოკანმა არაერთი ბურთი მოიგერია, მაგრამ გოკდენიზის დარტყმულს ვერაფერი მოუხერხა.

„ტრაბზონსპორმა" თურქეთის თასი მეცხრედ მოიგო. ანთალიაში ხომ იზეიმეს ზღვისპირელებმა და, ცხადია, თავად ტრაბზონშიც ხალხი ქუჩებში გაიფანტა. მოკლედ, ჩაის სმა დილამდე.

**რომან თურქია**

## ავსტრია

**მაქსბუნდესლიგა**

**XXX ტური**

**რაპიდი 0:0 გრაცერი**

**ბრეგენცი 2:1 პაშინგი**

**რიდი 1:2 ზალცბურგი**

**ადმირა 4:0 კერნტენი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 30 | 20 | 5 | 5 | 57:21 | 65 |
| გრაცერი | 30 | 12 | 11 | 7 | 44:29 | 47 |
| პაშინგი | 30 | 13 | 7 | 10 | 38:29 | 46 |
| ზალცბურგი | 30 | 12 | 8 | 10 | 39:41 | 44 |
| შტურმი | 30 | 13 | 3 | 14 | 42:52 | 42 |
| რაპიდი | 30 | 9 | 10 | 11 | 32:34 | 37 |
| რიდი | 30 | 10 | 7 | 13 | 37:41 | 37 |
| კერნტენი | 30 | 9 | 7 | 14 | 35:48 | 34 |
| ადმირა | 30 | 7 | 10 | 13 | 29:44 | 31 |
| ბრეგენცი | 30 | 6 | 10 | 14 | 40:54 | 28 |

ასორტიმენტის საგაზაფხულო განახლება
ბილიარდები
პული, რუსული პირამიდა, სნუკერი



Zeus
ბილიარდალი Billijardal
აქსესუარები
1000-ზე მეტი დასახელება
სპეციალური ფასები ბილიარდის კლუბებისათვის
მაღაზია სალონი WWW.billiard.ge
ტელ: 95-57-75, ტ/ფ: 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ (ყოფ. კამო) №:2

სამკურნალო გაერთიანება
„ლიგა"
დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე
სექსოპათოლოგიის კლინიკა
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- ნარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21
ვაქცინაციის ცენტრი
- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

# ბარსელონა დაიშალა

## ახალი არჩევნები იუვენტუსის სურვილით გაიმართება

ლუის ვან გაალისა და „ბარსელონას" ურთიერთობა გაყრით დასრულდა. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა კუთვნილი თანხა მიიღო და ესპანეთი დატოვა. ჰოლანდიელს მალე „ბარსელონას" პრეზიდენტი ხუან გასპარიც მიჰყვა, ჩემი საქმე ხუთიანზე ვერ შევასრულე, მივდივარო, თქვა გასპარმა.

„ბარსა" პრეზიდენტის გარეშე ხომ ვერ დარჩებოდა, ჰოდა, ხუან გასპარის ადგილი დროებით ენრიკე რეინამ დაიკავა. რადომირ ანტიჩის მისვლის შემდეგ გუნდმა უფრო გამართულად დაიწყო თამაში. „ბარსელონა" პრიმერადივიზიონშიც გამოცოცხლდა, თან ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალშიც გაღწია.

ენრიკე რეინამ თქვა, მეოთხედფინალის შემდეგ ჩემს მომავალს გავარკვევო. „იუვენტუსმა" „ბარსელონა" მეოთხედფინალიდან გაისტუმრა, ჰოდა, პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებელსაც თავისი სიტყვა უნდა ეთქვა.

გუშინ კატალონიური კლუბის დირექტორთა საბჭომ განაცხადა, რომ ერთი თვის შემდეგ ოფიციალურად გადადგება, ანუ დაიშლება და ახალ არჩევნებს დაელოდება. „ბარსელონას" ისტორიაში ეს ყველაზე ამაზრზენი სეზონია. მე-12 ადგილი პრიმერადივიზიონში და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „იუვენტუსთან" მარცხი საკმაო მიზეზია რადიკალური ცვლილებებისთვის. კლუბის წევრთა კრებაზე, რომელიც 5 მაისს გაიმართება, ენრიკე რეინა თავის გუნდთან ერთად გადადგება. ახალი არჩევნები 8 ივნისს გაიმართება.





ენრიკე რეინამ ახალი არჩევნები „ბარსელონას" მდივნის, ხოსე მარია კორონასის პირით გამოაცხადა

**გაგა ხუციშვილი**

# სულ თაგვები და თაგვები

## ფრანც ბეკენბაუერი ბაიერნს ჩაუჯდა


ფრანც ბეკენბაუერი ცოლს გაეყარა და თაგვებს შეეყარა

*მიუნხენის „ბაიერნმა" ბუნდესლიგის ბოლო ორი მატჩი წააგო, მაგრამ ამით არავინ შეშფოთებულა. აბა, რა იქნებოდა, „ბაიერნმა" ხომ რა ხანია, ინტერესი დაუკარგა საჩემპიონო ბრძოლას და ბუნდესსასალათის დე-ფაქტო მფლობელი უახლოეს ტურებში ტიტულს დე-იურედაც გაიფორმებს.*

*კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რა იქნება მერე? ამ და სხვა საკითხებზე „ბაიერნის" პრეზიდენტის ფრანც ბეკენბაუერის ინტერვიუს გთავაზობთ.*

**— ჰერ ბეკენბაუერ, როცა „ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგიდან გავარდა და ყველა ოტმარ ჰიცფელდს აკრიტიკებდა, თქვენ დუმდით და მწვრთნელს იცავდით. იმ გავარდნის გამო ვნებები დიდი ხანია ჩაცხრა და ახლა რას იტყოდით ჰიცფელდზე?**

— ჰიცფელდი „ბაიერნში" სწორედ მე მოვიყვანე. ეს ხუთი წლის წინ იყო. ვფიქრობ, ჩვენ დიდად გაგვიმართლა, ის ჩვენს შეთავაზებას რომ დათანხმდა. ჩვენს თანამშრომლობას იდეალურს დავარქმევდი, თუმცა ცხადია, ჰიცფელდის გადაწყვეტილებები ყოველთვის არ იწვევს ჩემს აღფრთოვანებას. ეს სრულიად ჩვეულებრივი ამბავია. უბრალოდ შეუძლებელია, ამდენი წლის მანძილზე მწვრთნელი ერთხელაც არ შეცდეს. დიდი გამარჯვებების შემდეგ გუნდი მოეშვა, რაშიც ჰიცფელდის გარდა მეც მიმიძღვის ბრალი. ერთ ხანს სხვა საქმეებით ვიყავი დაკავებული და „ბაიერნს" საჭირო ყურადღებას ვერ ვუთმობდი. იმ დროშ ჩაიარა, ახლა ისევ სერიოზულად მოვკიდე ხელი კლუბს.

**— ზოგადად „ბაიერნის" მწვრთნელი ალბათ უფრო დიდი წნეხის ქვეშ არის, ვიდრე დაბალი კლასის გუნდების მწვრთნელები...**

— დიახ, ასეა. მაგრამ აქ მეორე ფაქტორიც გასათვალისწინებელია. „ბაიერნის" მწვრთნელის განკარგულებაში ბევრად მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან, ვიდრე სხვა მწვრთნელებს ჰყავთ, ამან კი „ბაიერნის" მწვრთნელს მუშაობა უნდა გაუადვილოს.

**— ჰიცფელდმა ფაქტობრივად უკვე მოიგო ბუნდესლიგა. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ კლუბში კიდევ დიდი ხნით დარჩება?**

— ძალიან შორს ყურებას ნუ დავიწყებთ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჩემპიონთა ლიგაში წლევანდელი ჩავარდნის შემდეგ ოტმარისთვის ლიგაში წარმატების მიღწევა ღირსების საქმედ იქცა. ნატურით ის გამარჯვებული კაცია და ვეჭვობ, ჩვენგან იოლად წავიდეს.

**— ბუნდესლიგაში „ბაიერნს" კონკურენტი ფაქტობრივად არ ჰყავს. „დორტმუნდის", „ვერდერის" და სხვათა სეზონისწინა ამბიციები ცარიელ სიტყვებად დარჩა. ეს თქვენს გუნდზე უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს?**

— ჩვენს მეტოქეებს თავისი ამოცანები აქვთ. იგივე „დორტმუნდს" ჩემპიონთა ლიგაში გერმანიის ღირსების დაცვა მოუხდა, რითაც პატივისცემას იმსახურებს. ლიგაში მოხვედრას ესწრაფვიან „შტუტგარტი" და „ვერდერიც", რომლებსაც ამ ტურნირის გემო დაავიწყდათ. იგივე უნდათ „ჰერტას" და „შალკესაც". ვფიქრობ, სულ მალე ეს გუნდები ბუნდესჩემპიონობაზეც დაიწყებენ ფიქრს და მეტ წინააღმდეგობას გაგვიწევენ. ესეც ერთი მიზეზია იმისა, რომ გულხელდაკრეფილები არ ვისხდეთ.

**— ამბობენ, „ბაიერნს" ლაუტერნელი მიროსლავ კლოზეს ხელში ჩაგდება სურსო. მართლა დაინტერესებული ხართ ამ ფეხბურთელით?**

— დიახ. მას ბრწყინვალე დრიბლინგი და კარგი დარტყმა აქვს. ურიგოდ თავითაც არ თამაშობს და ბევრი გოლი გააქვს. მხოლოდ ჩემი სურვილი საკმარისი რომ იყოს, კლოზეს დაუყოვნებლივ გადმოვიყვანდი.

**— კევინ კურანის თაობაზე რას იტყვით?**

— ძალიან საინტერესო ფეხბურთელია. საერთოდ, გერმანიაში ერთ ხანს აღარ ჩნდებოდნენ ახალი ვარსკვლავები და საბედნიეროდ ახლა მათი მთელი პლეადა წამოვიდა. ვფიქრობ, რუდი ფიოლერს ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ბრწყინვალე გუნდი ეყოლება.

**— სხვათა შორის, ამბობენ, რომ 2006 წელს ფიფას პრეზიდენტის პოსტზე ზეპ ბლატერის შეცვლა გსურთ. მართალია?**

— ეს ჭორია. დღეისთვის ჩემი მთავარი ამოცანა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის უმაღლეს დონეზე ორგანიზებაა. ფიფას მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე კიდევ სამი წელია და იმ დროისთვის ღმერთმა უწყის, სად და როგორ ვიქნები.

**— პირადულზეც გკითხავთ. თქვენი უმცროსი შვილის დედასთან, ჰაიდი ბურმესტერის სახლში კვლავაც აპირებთ ცხოვრებას, მაშინ როცა თქვენს საკუთარ სახლში თქვენი მეუღლე სიბილი ცხოვრობს?**

— დიახ, ჯერჯერობით რაიმეს შეცვლას არ ვაპირებ.

**— მეუღლეს თქვენი საყვარელი ძაღლები, ივანა და დონიც დაუტოვეთ...**

— ძაღლებს ყოველთვის ჩემი ცოლი უვლიდა და ამიტომაც ასე გადავწყვიტეთ. ისე, ახალ ძაღლს აუცილებლად მოვიყვან, კატასაც. სახლში თაგვები გვყავს და მათთან საბრძოლველად მინდა. საერთოდ, თაგვები არ მეზიზღება, თუმცა ცხოვრება მათ გარეშე მირჩევნია.






ოტმარ ჰიცფელდისთვის ბაიერნელობა იოლიცაა და ძნელიც, რუდი ფიოლერს კი ვარსკვლავური თაობა ჭირდება



# ჩეხი თოფს მთამაშეზა

## არსენალი დარაჯს ეძებს

**ლონდონის** „არსენალის" მეკარეს, დევიდ სიმენს შემცვლელი სჭირდება. თავად სიმენი, მეტსახელად „საიმედო ხელები", ამტკიცებს, რომ ჯერ არ დაბერებულა და კარიერის დასრულებას არ აპირებს. მიუხედავად ამისა, „მეფოთეები" ახალ მეკარეს ეძებენ.

ლონდონელთა სავარაუდო ნუსხაში რამდენიმე კარის დარაჯია, მათ შორის დანიელი თომას სორენსენი, რომელიც „სანდერლენდში" თამაშობს და თურქი რუშთუ რეჭბერი. „არსენალს" რუშთუს გადაბირება შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგაც სურდა, მაგრამ ფენერბაჰჩელმა მაშინ იუარა, სამუდამოდ სტამბოლში უნდა დავრჩეო.

ამჯერად „მეთოფეებმა" თვალი პეტერ ჩეხს დაადგეს. ჩეხი პრაღის „სპარტას" ღირსებას იცავდა, ახლა კი ფრანგული „რენის" მეკარეა. თუ წლეულს „რენი" საფრანგეთის პირველი დივიზიონიდან არ გავარდა, უმეტეს წილად ეს ჩეხი მეკარის დამსახურება იქნება. შეგახსენებთ, რომ ამჟამად „რენს" „ლილის" ყოფილი მწვრთნელი, ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი თავკაცობს. პეტერ ჩეხი ამ კვირაში „არსენალის" ბოსებს შეხვდა და სავარაუდო ტრანსფერზეც ისაუბრეს. მოლაპარაკებას ფეხბურთელის აგენტი პაველ ზიკა აწარმოებდა. ჯერ კიდევ შარშან პეტერ ჩეხს ინგლისში გადაბარგება ეწადა, მაგრამ იქაური კანონების გამო სამუშაო ვიზა ვერ მიიღო. „ვფიქრობ, რომ „არსენალში" თამაში ნებისმიერი ფეხბურთელის სანუკვარი ოცნებაა" — თქვა პეტერ ჩეხმა. ახლა ყველაფერი „მეთოფეთა" მარიფათზეა დამოკიდებული.

**ბაჩა ხუციშვილი**

# ბრუკინგს შეუთავსეს

## ინგლისურ პრემიერლიგაში

„ვესტ ჰემ იუნაიტედის" დღეები დათვლილია, ისიც მოგეხსენებათ, რომ გუნდის მენეჯერი გლენ რიოდერი გულის შეტევით საავადმყოფოში მოხვდა. მაგრამ გუნდი ვარდება თუ არა, მწვრთნელი სჭირდება და გუშინ რიოდერის ადგილი ტრევორ ბრუკინგმა დაიკავა.

ბრუკინგს რა წარდგენა უნდა: 1981 წელს, როცა თბილისის „დინამო" „ვესტ ჰემს" შეხვდა, ლონდონურ გუნდში თამაშობდა, თბილისშიც ნამყოფია და სხვათა შორის, „ვესტ ჰემი" — „დინამოს" ლონდონურ მატჩში, რომელიც ჩვენებმა 4:1 მოიგეს, ის ერთი გოლი სწორედ მან გაიტანა.

ახლა ბრუკინგი 54 წლისაა, „ვესტ ჰემის" ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს ფეხბურთელად ითვლება და კლუბის დირექტორატში მუშაობს. მენეჯერის პოსტს ის სეზონის დასრულებამდე დარჩენილ სამ ტურში შეითავსებს.


ტრევორ ბრუკინგი

ბრუკინგი „ვესტ ჰემში" 1965 წელს მივიდა, 600 მატჩი ჩაატარა და 1984 წელს ფეხბურთელის კარიერა დაასრულა. და საერთოდაც, ბრუკინგის დამსახურებაა, 22 წლის წინ „დინამო" „ვესტ ჰემს" რომ შეხვდა — ინგლისის თასი „ჩაქუჩებმა" მისი ერთადერთი გოლის წყალობით მოიგეს, ფინალში „არსენალი" დაამარცხეს. კლუბის დირექტორატში მისვლამდე ის ერთი ხანს ტელევიზიაში მიმომხილველად მუშაობდა.

დარჩენილ სამ ტურში კი „ვესტ ჰემის" მეტოქეები „მანჩესტერ სიტი" (სტუმრად), „ჩელსი" (შინ) და „ბირმინგემი" (სტუმრად) არიან. საეჭვოა, ბრუკინგმა რამე მოახერხოს.

**ირაკლი ნინიძე**

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# ...და ან ცაზე ვარსკვლავები

## როჟე მილა



## აკა ფეხბურთის კლასიკოსი

**ინდოეთის** ოკეანეში არის კუნძული რეიუნიონი — საფრანგეთის პროვინციაა, დედაქალაქით სენ დენი. სწორედ იქ, ყველაფრისგან მოშორებით, მშვიდად და განცხრომით ცხოვრობდა კაცი, რომლის სახლშიც ერთ დღეს ტელეფონმა დარეკა. ეს ამბავი დაახლოებით 1989 წელს ხდება, შესაძლოა, 90-ის დასაწყისშიც. კაცმა ყურმილი აიღო და გაშრა: მას კამერუნის პრეზიდენტი ესაუბრებოდა. პრეზიდენტმა დაბრუნება სთხოვა, უარი გამორიცხული გახლდათ.

ალბერტ როჟე მილა, შინაურულად აკა როჟე მილა, იმხანად 38 წლისა იყო. მის საპატივცემულოდ უკვე გაემართათ გამოსათხოვარი შეხვედრები დუალასა და იაუნდეში, რომელთაც ასი ათასი მაყურებელი დაესწრო. მას უკვე ეთამაშა მსოფლიოს ჩემპიონატზე, 1982 წელს ესპანეთში. იგი უკვე გახლდათ კამერუნის ჩემპიონი და თასის მფლობელი, საფრანგეთის თასის ორგზის მფლობელი, აფრიკის ერთა თასის მფლობელი და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი, იმავ თასის შემდგომი გათამაშების საუეთესო მოთამაშე, ხოლო კონტინენტის „ოქროს ბურთი“ 14 წლის წინ ჰქონდა მოპოვებული და სასიამოვნო, შორეულ მოგონებად ეგულებოდა.

მაგრამ პრეზიდენტმა დაურეკა.

და აკამ ჩემოდანი ჩაალაგა. წინ დიდი გზა ელოდა: რეიუნიონი — კამერუნი — იტალია. იმ წელიწადს, 90-ში, იტალიაში მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდებოდა და ჯანა ნანინი იმ ტურნირის დღემდე პოპულარულ ჰიმნს მღეროდა.

მსოფლიოს ჩემპიონატის გახსენებით თავს აღარ შეგაწყენთ. მხოლოდ ის ვთქვათ, რომ იქ მილამ ოთხი გოლი გაიტანა და პლანეტას ცხოვრება გაუხალისა — ყოველი გოლის შემდეგ კუთხურის ალამთან მაკოსას ცეკვა მანამდე არავის ენახა. იმ ოთხი გოლიდან ორი დამატებით დროში, კოლუმბიის ნაკრების კარში შევარდა და კამერუნის ეროვნული გუნდი ანუ „მოუთვინიერებელი ლომები“ არნახულ და არგაგონილ ეტაპზე, მეოთხედფინალში გაიყვანა. ასე შორს შავი კონტინენტიდან არასდროს არავინ გასულა.

ცამდე მართალი ყოფილა პრეზიდენტი! ოთხი წლის შემდეგ, აშშ 94-ზე აკამ ისევ ითამაშა. 42 წლის ფორვარდმა რუსეთის ნაკრებს გაუტანა გოლი და შეიქნა ყველაზე ხანდაზმული ფეხბურთელი, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატზე მეტოქის კარი დაულაშქრავს.

პირველი აფრიკელი, რომელსაც სამ მსოფლიოს ჩემპიონატზე უთამაშია! კამერუნში, ადგილობრივ არჩევნებში მილამ ათასობით ხმა მიიღო, მაგრამ ოფისზე უარი თქვა — პოლიტიკა არ მაინტერესებს, ცუდია, რომ მწვრთნელად არ მნიშნავენო.

„ჩვენთან სპორტის მინისტრებს ჰგონიათ, რომ შედეგებს სწრაფად მხოლოდ უცხოელი მწვრთნელები აღწევენ“.

ვინ იყო კამერუნის სპორტის მინისტრი 1952 წლის 20 მაისს, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ, თეორიულად, მას შეეძლო იმ დღეს ქვეყნის პრეზიდენტთან შესულიყო და ეპატაკა, რომ დედაქალაქში, იაუნდეში დიდი ვარსკვლავი დაიბადა. მილას მამა რკინიგზის მუშა იყო, რკინიგზა კი ოხერია, ხან აქ აიყრება ლიანდაგი, ხან იქ, ხან აქ გაჰყავთ ახალი მიმართულება, ხან იქ. ასე დადიოდა მამა მილა ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში და ცოლ-შვილს დააწანწალებდა, მაგრამ ბალღი აკა, თუ გნებავთ როჟე, მოსაწყენად ვერსად იცლიდა — ბურთი და პატარა ვაკე ადგილი ხომ ყველგან იყო. და, რა თქმა უნდა, ყველგან მეტსახელს არქმევდნენ. აბა, გამოიცანით რას? ცხადია, პელეს.

13 წლისა კი უკვე „იკლაირ დე დუალას“ ფეხბურთელი გახდა, სადაც ხუთი წელიწადი დაჰყო. ცოტა რომ დავაჟკაცდა და მის ტექნიკას ღონეც დაემატა, მილა კამერუნის ჩემპიონმა „ლეოპარდ დე დუალამ“ წაიყვანა. იქ ჭაბუკმა თავდამსხმელმა ჩემპიონის ტიტული მოიპოვა და დედაქალაქში, „ტონერ კლუბ დე იაუნდეში“ გადაინაცვლა.

ჩვენი წერილის გმირი ნაკრებში პირველად 1976 წელს მიიწვიეს და იმ წელიწადს კონტინენტის „ოქროს ბურთი“ მიიღო, მაგრამ ეს ყველაფერი ისევ და ისევ აფრიკაში ხდებოდა, დიდი კონტრაქტი კი აგვიანებდა.

ევროპამ ყურადღება 1977 წელს მიაქცია — ფრანგულმა „ვალანსიელმა“ წაიყვანა, ოღონდ საოცნებო ოქროს მთების მაგივრად პაწაწინა ოთახი და თვეში 400 დოლარის ტოლი ხელფასი მისცა.

შემდეგ იყო „მონაკოს“ სათადარიგოთა სკამი, რომელიც „ბასტიას“ სათადარიგოთა სკამმა შეცვალა. ამ წლებში კამერუნელი ხალხი ფრანგულ გაზეთებს რომ კითხულობდა, მხრებს იჩეჩავდა და უკმაყოფილოდ იჯღანებოდა, მაგრამ აი, ქვედა დივიზიონიდან „სენტ ეტიენი“ ალზევდა და ინებეთ: 31 შეხვედრაში 22 გოლი! თვალები სად გქონდათ, ბატონებო?

ბოლოს კი „მონპელიე“, სადაც აკამ თავი მართლა შინ იგრძნო, იმდენად, რომ უკვე 152 გოლის ავტორი გუნდის მწვრთნელთა ჯგუფშიც კი შეიყვანეს.

ეს ყველაფერი 1989 წლის 31 მაისს დასრულდა. ალბერტ როჟე მილას სახელზე ბანკში თანხა იდო და ამ თანხის ნაწილით მან რეიუნიონზე კარმიდამო იყიდა.

დღეს როჟე მილა საზოგადოებრივი საქმით არის დაკავებული — ნუ, არ აღირსეს მწვრთნელობა — გაეროს ელჩია და სიკეთისთვის იბრძვის, აი, ნაკრებში ჩატარებული თამაშების და გოლების რაოდენობა კი არ ახსოვს — რა ვიცი, რა მნიშვნელობა აქვს, ფეხბურთს მხოლოდ იმიტომ ვთამაშობდი, რომ თამაში მიყვარდაო.

**ბაჰუნა ძედია**



როჟე მილა კამერუნში ყველას უყვარს


## სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები, აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე

გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი ვაჟა ფშაველას 91

53-76-82 899 56-18-49


# ამხანაგური მატჩები

## ხაბი ალონსო და ლუის გარსია სიახლენი საესის სიაში

30 აპრილს ესპანეთის ნაკრები „ვისენტე კალდერონზე“ ამხანაგურ მატჩში ეკვადორს უმასპინძლებს. ნახევარმცველები ხაბი ალონსო („რეალ სოსიედადი“) და ლუის გარსია (მადრიდის „ატლეტიკო“) ახალბედები არიან ესპანელთა მწვრთნელის საესის სანაკრებო სიაში. გარდა ამათი დებიუტისა, უნდა აღინიშნოს თავდამსხმელების, ხოსე მარისა და ფერნანდო მორიენტესის ნაკრებში დაბრუნება. ავადმყოფობის გამო (აპენდიციტის ოპერაცია) სამხრეთამერიკელებთან მატჩს გამოტოვებს რაული. „რეალის“ თავდამსხმელი ფეხბურთს 3-4 კვირით მაინც დაეთხოვა. არ ითამაშებს „დეპორტივოს“ ტრავმირებული დიეგო ტრისტანიც. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩს ქართველი არბიტრი სერგო კვარაცხელია იმსაჯებს.

**ლადო ხომერიძე**



ხაბი ალონსო

### 30 აპრილი: ესპანეთი – ეკვადორი

#### ესპანეთი

*მეკარეები: იკერ კასილიასი (რეალი), სანტიაგო კანისარესი (ვალენსია);*
*მცველები: კარლეს პუიოლი (ბარსელონა), რაულ ბრავო (ლიდსი, ინგლისი), ივან ელგერა (რეალი), მიჩელ სალგადო (რეალი), აუგუსტინ არანსაბალი (სოსიედადი), კარლოს მარჩენა (ვალენსია);*
*ნახევარმცველები: ლუის გარსია (ატლეტიკო), ხავი ერნანდესი (ბარსელონა), ხოაკინ სანჩესი (ბეტისი), ხუან კარლოს ვალერონი (დეპორტივო), ხაბი ალონსო (სოსიედადი), დავიდ ალბელდა (ვალენსია), რუბენ ბარახა (ვალენსია), ვისენტე ფერნანდესი (ვალენსია);*
*თავდამსხმელები: ხოსება ეჩებერია (ბილბაო), ხოსე მარი (ატლეტიკო), ხოსე მარია გუტი (რეალი), ფერნანდო მორიენტესი (რეალი)*
*მსაჯი: სერგო კვარაცხელია (საქართველო)*



## ცრემლიანი ამბავი

### პატარა ალი და ღმერთი დევიდი

*12 წლის ერაყელი ბიჭუნა ალი ისმაილ აბასი ბოლო ხანს მთელმა მსოფლიომ გაიცნო. სამწუხაროდ, ტრაგიკული შემთხვევის გამო — ამერიკული ავიაციის მიერ ბაღდადის ერთ-ერთი დაბომბვისას მისი ოჯახი მთლიანად დაიღუპა, თავად ალიმ კი ორივე ხელი დაკარგა. იგივე ამერიკელებმა ბიჭუნა სასწრაფოდ ქუვეითის საუკეთესო კლინიკაში გადააფრინეს.*

*და რა შუაშია აქ სპორტული გაზეთი? ჩვენი ყურადღება იმან გამოიწვია, რომ ექიმებს ალიმ სხვათა შორის ისიც უთხრა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივარია, ხოლო დევიდ ბექემს აღმერთებს.*

*საჩუქარმაც არ დააყოვნა: საუკეთესო ინგლისური კლუბის მაისურა ყველა ფეხბურთელის ავტოგრაფით და წარწერით — ღმერთმა დაგლოცოს, ალი. დევიდ ბექემისგან — ხვალ უკვე პატარა ალის საწოლზე იდება.*

## Copa Toyota Libertadores '2003

### ლიბერტადორესის თასი 2003

#### მერვედფინალი. პირველი მატჩები

**სერო პორტენო (პარაგვაი) 0:1 ინდეპენდიენტე მედელინი (კოლუმბია)**

0:1 დ. მონტოია (44)

**ნასიონალი (ურუგვაი) 4:4 სანტოსი (ბრაზილია)**

0:1 ალექსი (5), 0:2 რიკარდო ოლივეირა (44), 1:2 გ. ალვესი (57), 1:3 რობინიო (64), 2:3 ხ. პერალტა (71), 3:3 სკოტი (80), 3:4 რიკარდო ოლივეირა (84პ), 4:4 ბენუა (90)



# დანამა, დანამა, დანამა

## უეფა: დროშა ჩვენ გვკითხეთ, მანძილი თქვენს პოლიციას. რადიოქომაგობა არ იყოს!

*საქართველო — რუსეთის შესარჩევ მატჩამდე ოთხი დღე დარჩა. ოთხშაბათს ჩვენი გუნდი ავ მეზობელს ცარიელ „ლოკომოტივზე“ უმასპინძლებს. ამ შეხვედრას პრაქტიკულზე მეტად პრინციპული მნიშვნელობა რომ აქვს, ამას თქმაც არ უნდა... მაგრამ რა ქნას ქომაგმა, რომელსაც სტადიონზე არ შეუშვებენ, სად მოიკლას ის ჟინი, რაც ოქტომბრის ჩაშლილი შეხვედრიდან აქამდე გამოჰყოლია? ნაციონალური პარტიის ჩანაფიქრს, ვაკის პარკში დიდი ტელევიზორების დამონტაჟებისა და რეპროდუქტორების საშუალებით ქომაგის ხმის მოედნამდე მიტანის თაობაზე, ურიგო ნამდვილად არ ეთქმის. ხალხი სტადიონიდან ასიოდ მეტრში შეიკრიბება, მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს უყურებს და მათი ემოცია სტადიონზე დადგმული დინამიკების საშუალებით, ასევე პირდაპირი ეთერით ზედ მოედანზე გაისმება. ასეთია „ნაციონალების“ გეგმა და, როგორც ვიცით, საამისო სამზადისი უკვე დაწყებულია.*

*ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ რა არის ნებადართული და რა — არა, უეფაშია საკითხავი, ორგანიზაციაში, რომელმაც გამოუწერა კიდეც ქართველ ქომაგს ამგვარი დისკვალიფიკაცია. ვერ გეტყვით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ან „ნაციონალებმა“ ინსტრუქციის მისაღებად უკვე მიმართეს თუ არა უეფას, ჩვენ კი ამ პატივცემული ორგანიზაციის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომიტეტს, ვფიქრობთ, სადღეისოდ აქტუალური რამდენიმე კითხვით მივმართეთ და გუშინ პასუხიც მივიღეთ.*






მიხეილ სალაძე

**— უეფას სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილების მიზეზი ირლანდიასთან მატჩისას მოედანზე ნასროლი დანის გარდა სხვა რამეც იყო?**

— საქართველო — ირლანდიის მატჩის ოფიციალური პირები (დელეგატი, მსაჯი...), უეფასადმი შედგენილ პატაკში მიუთითებდნენ ქართველი ქომაგების უსაქციელობაზე თამაშის მიმდინარეობისას, რაც გამოიხატებოდა მოედანზე სხვადასხვა საგნების სროლით (შუშის ბოთლები, სანთებელები). ფაქტი იყო ასევე, რომ ტრიბუნიდან ნასროლი გახსნილი დანა მოხვდა ირლანდიელ ფეხბურთელს. სწორედ ამ დარღვევათა გამო მიიღო უეფას კონტროლისა და დისციპლინის კომიტეტმა გადაწყვეტილება, რომ საქართველოს ნაკრებმა უახლოესი საშინაო მატჩი რუსეთის წინააღმდეგ დახურულ კარს მიღმა ჩაატაროს.

**— რამდენი და რა სტატუსის პირი უნდა იყოს სტადიონზე?**

— 75-75 ორივე მხრიდან. იგულისხმება ფეხბურთელები, მწვრთნელთა კორპუსი, სამედიცინო და სხვა პერსონალი. სტადიონზე ყოფნის უფლება აქვს ასევე რამდენიმე სამართალდამცავსა და სტადიონის თანამშრომელს. ნებადართულია ჟურნალისტთა დასწრებაც, თუმც პრესის ყველა იმ მუშაკის ვინაობა, ვინც აკრედიტირებული იქნება, უეფასთვის ცნობილი უნდა იყოს მატჩის დაწყებამდე არა უგვიანეს 24 საათისა.

**— შეიძლება თუ არა ცარიელ ტრიბუნაზე დიდი ზომის ეროვნული დროშის გაფენა?**

— ამის თაობაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უეფას წინასწარ უნდა აცნობოს და ნებართვა მიიღოს.

| 21.00 | 2537 | მალიორკა-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2538 | ვალენსია-ალავესი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2539 | სელტა-ვალიადოლიდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2540 | რაიო-ესპანიოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2541 | მალაგა-რასინგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2542 | უელვა-ვილიარეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 2543 | სევილია-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2544 | ბარსელონა-სოსიედადი(ნ) | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შედეგი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **26 აპრილი** | | |
| 18.30 | 2408 | ჰამბურგი-ნიურნბერგი | 1,35 | 3,2 |
| 18.30 | 2409 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 2,0 | 1,8 |
| 18.30 | 2410 | ჰერტა-ჰანოვერი | 1,35 | 3,2 |
| 18.30 | 2411 | შტუტგარტი-ჰანზა | 1,35 | 3,2 |
| 18.30 | 2412 | შალკე-ბოხუმი | 1,35 | 3,2 |
| 18.30 | 2413 | მიონხენგლადბახი-ლევერკუზენი | 1,85 | 1,95 |
| 18.30 | 2414 | მიუნხენი-დორტმუნდი | 2,0 | 1,8 |
| 16.30 | 2415 | ბოლტონი-არსენალი | 2,6 | 1,5 |
| 19.00 | 2416 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 1,8 | 2,0 |
| 19.00 | 2417 | ჩარლტონი-საუთჰემპტონი | 1,8 | 2,0 |
| 19.00 | 2418 | ჩელსი-ფულემი | 1,25 | 3,6 |
| 19.00 | 2419 | ევერტონი-ასტონ ვილა | 1,5 | 2,6 |
| 19.00 | 2420 | ლიდსი-ბლექბერნი | 1,8 | 2,0 |
| 19.00 | 2421 | სანდერლენდი-ნიუკასლი | 2,6 | 1,5 |
| 19.00 | 2422 | ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული | 3,2 | 1,35 |
| 23.30 | 2423 | რომა-მილანი | 1,85 | 1,95 |
| 23.00 | 2424 | ბილბაო-ბეტისი | 1,75 | 2,1 |
| 24.00 | 2425 | ატლეტიკო-ოსასუნა | 1,45 | 2,8 |
| | | **27 აპრილი** | | |
| 20.30 | 2426 | არმინია-კოტბუსი | 1,35 | 3,2 |
| 20.30 | 2427 | კაიზერსლაუტერნი-ვერდერი | 1,75 | 2,1 |
| 18.00 | 2428 | სიტი-ვესტ ჰემი | 1,8 | 2,0 |
| 20.05 | 2429 | ტოტენჰემი-მანჩესტერი | 2,6 | 1,5 |
| 18.00 | 2430 | ბოლონია-კიევო | 1,75 | 2,1 |
| 18.00 | 2431 | კომო-მოდენა | 2,1 | 1,75 |
| 18.00 | 2432 | ემპოლი-უდინეზე | 1,75 | 2,1 |
| 18.00 | 2433 | იუვენტუსი-ბრეშა | 1,2 | 4,0 |
| 18.00 | 2434 | პიაჩენცა-პერუჯა | 1,9 | 1,9 |
| 18.00 | 2435 | რეჯინა-პარმა | 1,85 | 1,95 |
| 23.30 | 2436 | ინტერი-ლაციო | 1,65 | 2,3 |
| 21.00 | 2437 | მალიორკა-დეპორტივო | 2,0 | 1,8 |
| 20.00 | 2438 | ვალენსია-ალავესი | 1,25 | 3,6 |
| 21.00 | 2439 | სელტა-ვალიადოლიდი | 1,4 | 3,0 |
| 21.00 | 2440 | რაიო-ესპანიოლი | 1,85 | 1,95 |
| 21.00 | 2441 | მალაგა-რასინგი | 1,6 | 2,4 |
| 21.00 | 2442 | უელვა-ვილიარეალი | 1,75 | 2,1 |
| 22.00 | 2443 | სევილია-რეალი | 2,3 | 1,65 |
| 23.30 | 2444 | ბარსელონა-სოსიედადი(ნ) | 1,8 | 2,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **26 აპრილი** | | |
| 18.30 | 2208 | ჰამბურგი-ნიურნბერგი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2209 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2210 | ჰერტა-ჰანოვერი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2211 | შტუტგარტი-ჰანზა | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2212 | შალკე-ბოხუმი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2213 | მიონხენგლადბახი-ლევერკუზენი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2214 | მიუნხენი-დორტმუნდი | 1,9 | 1,7 |
| 16.30 | 2215 | ბოლტონი-არსენალი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2216 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 2217 | ჩარლტონი-საუთჰემპტონი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2218 | ჩელსი-ფულემი | 1,95 | 1,65 |
| 19.00 | 2219 | ევერტონი-ასტონ ვილა | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2220 | ლიდსი-ბლექბერნი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2221 | სანდერლენდი-ნიუკასლი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2222 | ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 2223 | რომა-მილანი | 1,8 | 1,8 |
| 23.00 | 2224 | ბილბაო-ბეტისი | 1,8 | 1,8 |
| 24.00 | 2225 | ატლეტიკო-ოსასუნა | 1,8 | 1,8 |
| | | **27 აპრილი** | | |
| 20.30 | 2226 | არმინია-კოტბუსი | 1,95 | 1,65 |
| 20.30 | 2227 | კაიზერსლაუტერნი-ვერდერი | 1,95 | 1,65 |
| 18.00 | 2228 | სიტი-ვესტ ჰემი | 1,85 | 1,75 |
| 20.05 | 2229 | ტოტენჰემი-მანჩესტერი | 1,95 | 1,65 |
| 18.00 | 2230 | ბოლონია-კიევო | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2231 | კომო-მოდენა | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2232 | ემპოლი-უდინეზე | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2233 | იუვენტუსი-ბრეშა | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2234 | პიაჩენცა-პერუჯა | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2235 | რეჯინა-პარმა | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 2236 | ინტერი-ლაციო | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2237 | მალიორკა-დეპორტივო | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 2238 | ვალენსია-ალავესი | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2239 | სელტა-ვალიადოლიდი | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2240 | რაიო-ესპანიოლი | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2241 | მალაგა-რასინგი | 1,85 | 1,75 |
| 21.00 | 2242 | უელვა-ვილიარეალი | 1,8 | 1,8 |
| 22.00 | 2243 | სევილია-რეალი | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 2244 | ბარსელონა-სოსიედადი(ნ) | 1,95 | 1,65 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **26 აპრილი** | | | | | | | | | |
| 18.30 | 2108 | ჰამბურგი-ნიურნბერგი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.30 | 2109 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 4,8 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 18.30 | 2110 | ჰერტა-ჰანოვერი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.30 | 2111 | შტუტგარტი-ჰანზა | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.30 | 2112 | შალკე-ბოხუმი | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.30 | 2113 | მ.გლადბახი-ლევერკუზ. | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 18.30 | 2114 | მიუნხენი-დორტმუნდი | 4,6 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 16.30 | 2115 | ბოლტონი-არსენალი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 19.00 | 2116 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 19.00 | 2117 | ჩარლტონი-საუთჰემპტ. | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 19.00 | 2118 | ჩელსი-ფულემი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 5,0 | 14,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 19.00 | 2119 | ევერტონი-ასტონ ვილა | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 19.00 | 2120 | ლიდსი-ბლექბერნი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 19.00 | 2121 | სანდერლ.-ნიუკასლი | 7,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,3 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 19.00 | 2122 | ვ.ბრომვიჩი-ლივერპული | 10,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,8 | 3,3 | 25,0 | 12,0 | 2,0 |
| 23.30 | 2123 | რომა-მილანი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 23.00 | 2124 | ბილბაო-ბეტისი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 24.00 | 2125 | ატლეტიკო-ოსასუნა | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| | | **27 აპრილი** | | | | | | | | | |
| 20.30 | 2126 | არმინია-კოტბუსი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 20.30 | 2127 | კ.ლაუტერნი-ვერდერი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,6 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 18.00 | 2128 | სიტი-ვესტ ჰემი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 20.05 | 2129 | ტოტენჰემი-მანჩესტერი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,6 | 3,3 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 18.00 | 2130 | ბოლონია-კიევო | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.00 | 2131 | კომო-მოდენა | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 18.00 | 2132 | ემპოლი-უდინეზე | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 18.00 | 2133 | იუვენტუსი-ბრეშა | 1,6 | 20,0 | 40,0 | 3,4 | 5,0 | 17,0 | 35,0 | 17,0 | 17,0 |
| 18.00 | 2134 | პიაჩენცა-პერუჯა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 18.00 | 2135 | რეჯინა-პარმა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 23.30 | 2136 | ინტერი-ლაციო | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 21.00 | 2137 | მალიორკა-დეპორტივო | 4,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 20.00 | 2138 | ვალენსია-ალავესი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 21.00 | 2139 | სელტა-ვალიადოლიდი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 21.00 | 2140 | რაიო-ესპანიოლი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 21.00 | 2141 | მალაგა-რასინგი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 21.00 | 2142 | უელვა-ვილიარეალი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 22.00 | 2143 | სევილია-რეალი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 23.30 | 2144 | ბარსელონა-სოსიედადი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **26 აპრილი** | | |
| 18.30 | 2308 | ჰამბურგი-ნიურნბერგი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2309 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2310 | ჰერტა-ჰანოვერი | 1,75 | 1,85 |
| 18.30 | 2311 | შტუტგარტი-ჰანზა | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2312 | შალკე-ბოხუმი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2313 | მიონხენგლადბახი-ლევერკუზენი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 2314 | მიუნხენი-დორტმუნდი | 1,7 | 1,9 |
| 16.30 | 2315 | ბოლტონი-არსენალი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 2316 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2317 | ჩარლტონი-საუთჰემპტონი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2318 | ჩელსი-ფულემი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2319 | ევერტონი-ასტონ ვილა | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2320 | ლიდსი-ბლექბერნი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2321 | სანდერლენდი-ნიუკასლი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 2322 | ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული | 1,75 | 1,85 |
| 23.30 | 2323 | რომა-მილანი | 1,65 | 1,95 |
| 23.00 | 2324 | ბილბაო-ბეტისი | 1,7 | 1,9 |
| 24.00 | 2325 | ატლეტიკო-ოსასუნა | 1,7 | 1,9 |
| | | **27 აპრილი** | | |
| 20.30 | 2326 | არმინია-კოტბუსი | 1,65 | 1,95 |
| 20.30 | 2327 | კაიზერსლაუტერნი-ვერდერი | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 2328 | სიტი-ვესტ ჰემი | 1,7 | 1,9 |
| 20.05 | 2329 | ტოტენჰემი-მანჩესტერი | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2330 | ბოლონია-კიევო | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2331 | კომო-მოდენა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2332 | ემპოლი-უდინეზე | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2333 | იუვენტუსი-ბრეშა | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2334 | პიაჩენცა-პერუჯა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2335 | რეჯინა-პარმა | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2336 | ინტერი-ლაციო | 1,65 | 1,95 |
| 21.00 | 2337 | მალიორკა-დეპორტივო | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2338 | ვალენსია-ალავესი | 1,75 | 1,85 |
| 21.00 | 2339 | სელტა-ვალიადოლიდი | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2340 | რაიო-ესპანიოლი | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2341 | მალაგა-რასინგი | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2342 | უელვა-ვილიარეალი | 1,7 | 1,9 |
| 22.00 | 2343 | სევილია-რეალი | 1,65 | 1,95 |
| 23.30 | 2344 | ბარსელონა-სოსიედადი(ნ) | 1,6 | 2,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## საქართველოს ჩემპიონატი



# კანდელაკი 79:68 ბრაიკოვიჩი



24 აპრილი. ბათუმი

**ქუთაისი 89:70 სსუ**

**ბასკო 79:68 დინამო**

გუშინ ბათუმში გამართული ორი მატჩით საბოლოოდ დაკომპლექტდა საპლეიოფო რვეული.

„ქუთაისმა" იოლად დაამარცხა სსუ და „აკადემია" პლეი ოფს მიღმა დატოვა, „ბასკო" — „დინამოს" დაპირისპირებამ კი ცხრილში მეორე ადგილის მფლობელი გამოავლინა.

დინამოელთათვის ბათუმური მატჩის შედეგი არაფერს წყვეტდა, ისინი მაინც პირველ ადგილზე ასრულებდნენ რეგულარულ ჩემპიონატს. ბათუმელთათვის კი მეტად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა გამარჯვებას. „ბასკოს" ცხრილში სტუ-ს გადასწრება სურდა, რათა მასთან მოსალოდნელი ნახევარფინალისთვის მოედნის უპირატესობა მოეპოვებინა. თანაც მეტოქედ ხომ ჩემპიონობის მთავარმოცილე, ხორვატულად ნაწრთობი და ხელის გულზე ნალოლიავები „დინამო" ჰყავდა.

თავის მხრივ დინამოელთათვისაც კარგი სტიმული იქნებოდა ჩემპიონის თავისსავე ბუნაგში დამარცხება. ეს კიდევ უფრო აელვარებდა ბრაიკოვიჩის გუნდის საჩემპიონო ამბიციებს, მაგრამ ნუგზარ კანდელაკის დამოძღვრილმა ბათუმელებმა კვლავ მშრალზე დატოვეს დინამოელები.

მატჩის შემდეგ „ბასკოს" მთავარ მწვრთნელ ნუგზარ კანდელაკს დავუკავშირდით და მცირე კომენტარი ვთხოვეთ:

— ამ მატჩის შედეგს ჩვენთვის უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თბილისელებსაც ეწადათ გამარჯვება, მათ ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც გატყდნენ. მესამე მეოთხედში დინამოელებმა დაწინაურებაც მოახერხეს, თუმც შესანიშნავად ათამაშდა ჩვენი თავდამსხმელი ლევან ქარაბაკი, მას თანაგუნდელებმაც აუბეს მხარი და საბოლოოდ საკმაოდ იოლად ვიმარჯვეთ.

„დინამოს" თამაშში აშკარად შეიმჩნევა ცვლილებები. ახალი მწვრთნელი ცდილობს, საკუთარი ტაქტიკით ათამაშოს გუნდი. თბილისელები ხშირად მიმართავდნენ ზონურ პრესინგს, დაცვაში მრავალი სიახლეები ჰქონდათ. ჩვენ ამისთვის მზად ვიყავით. მოველოდით, რომ ბრაიკოვიჩი დაცვაზე გააკეთებდა აქცენტს და ჩვენც მედგარი დაცვა დავუპირისპირეთ. გამარჯვებაშიც მთავარი წვლილი სწორედ ჩვენს დაცვას მიუძღვის."

დღეს ბათუმშივე „ბასკო" „ქუთაისს" შეხვდება და რეგულარული ჩემპიონატის ცხრილიც საბოლოო სახეს მიიღებს. პლეი ოფი კი მაისის დასაწყისში გაჩაღდება. მეოთხედფინალებში გუნდები ასე დაწყვილდებიან: პირველადგილოსანი მერვეზე გასულს შეხვდება, მეორე — მეშვიდეს, მესამე — მეექვსეს, მეოთხე — მეხუთეს.

**ირაკლი პერტაია**

| სატურნირო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 32 | 27 | 5 | + 692 | 59 |
| სტუ | 32 | 25 | 7 | + 492 | 57 |
| ბასკო | 31 | 25 | 6 | + 744 | 56 |
| აზოტი | 32 | 20 | 12 | + 85 | 52 |
| თსუ | 32 | 18 | 14 | + 115 | 50 |
| აკადემია | 32 | 7 | 25 | - 427 | 39 |
| მაკაბი | 32 | 7 | 25 | - 617 | 39 |
| სსუ | 32 | 7 | 25 | - 673 | 39 |
| ქუთაისი | 31 | 7 | 24 | - 411 | 38 |

## თურქეთი

# ჩემპიონ ულქერს გურჯის ტანი დაეტყო



ზაზა ფაჩულია

**ორშაბათს** გამართულ ერთადერთი მატჩით დასრულდა თურქეთის რეგულარული ჩემპიონატი. ისე მოხდა, რომ ამ თამაშმა რეგულარულ ჩემპიონატს გამარჯვებული გამოავლინა. თურქული გრანდები, „ულქერი" და „ეფესი", ოდენ თითო-თითო მარცხით მივიდნენ ბოლო ტურამდე და იქ ერთმანეთს შეასკდნენ. გამარჯვებას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სავარაუდოდ წლეულსაც ესენი შეასკდებიან ერთმანეთს ფინალურ სერიაში და საკუთარი მოედნის უპირატესობაც ამ მატჩში ნაყოჩაღევს დარჩებოდა.

მოგეხსენებათ, „ულქერიც" და „ეფესიც" სტამბოლის გუნდები არიან, მაგრამ საკუთარ დარბაზში თამაში ნებისმიერ შემთხვევაში დიდი სტიმულია. ამ მატჩს საკონდიტრო ფაბრიკა „ულქერის" საკალათბურთო დარბაზმა — „აჰმედ კომერტიმ" უმასპინძლა. ბრძოლა ბოლომდე იყო და უშელავათო, გამარჯვებულიც ბოლო წამებზე გამოვლინდა.

ამ შეხვედრაში პირველად გამოჩნდა მოედანზე ბარე ორ თვეს უთამაშებელი ულქერელი ჯოზეფ ბლერი. მაგრამ, ეტყობა, ამერიკელი ცენტრი ტრავმებმა დაასუსტა, „ეფესთან" შეხვედრაში ფიცარნაგზე ძველი ბლერის აჩრდილი დარბოდა.

„ბლერმა ბოლომდე მოიშუშა ტრავმა, მაგრამ უვარჯიშებელია და „ეფესთან" ჩრდილში მოექცა. სასტარტოში კვლავ მე ვითამაშე, ბლერმა ჯამში ათიოდ წუთით შემცვალა, მაგრამ ვერაფერი დააკლო მეტოქეს. მე საკმაოდ შედეგიანი ვიყავი, ყველა კმაყოფილი დარჩა" — გვითხრა გუშინ ზაზა ფაჩულიამ, სტამბოლში რომ დავუკავშირდით.

საქართველოს ნაკრების ცენტრს 29 წუთში 13 ქულა და 8 მოხსნა დაუგროვდა. ფაჩულია ფიცარნაგზე იყო მატჩის ბოლო მეოთხედშიც, როცა მოედანზე ნამდვილი ომი მძვინვარებდა. ყველაფერი ოვერტაიმისკენ მიდიოდა, მაგრამ ულქერელ ტუტკუ აჩიკს ბოლო წამებზე საჯარიმო სროლების უფლება ებოძა და მანაც არ დაალალატა „მეკანფეტეები".

პლეი ოფში 8 საუკეთესო გუნდი გავიდა, რეგულარულ ჩემპიონატში გაჩემპიონებულ „ულქერს" კი სანახევაროფინალო მეტოქედ „ოიაქი" ერგო. ფინალამდე სერიები 3 გამარჯვებამდე გაგრძელდება, იქ კი ჩემპიონობის მოსურნემ 4-ჯერ უნდა სძლიოს მეტოქეს.

**ირაკლი პერტაია**

## NBA PLAY OFF პირველი წრე ოთხ მოგებამდე

# გრეიდერი მიდი-მოდის, საქმე დგას



REUTERS

ტრეისი მაკგრეიდის მთელი ორლანდო კისერზე ჩამოჰკიდებია

23 აპრილი

### აღმოსავლეთი

**დეტროიტი 1:1 ორლანდო**

**დეტროიტი 89:77 ორლანდო**

**დეტროიტი:** ბილაფსი (15), ჰამილტონი (30), კარი (2), რობინსონი (10), ვოლესი (10 ქულა, 16 მოხსნა); უილიამსონი (13), ეტკინსი (4), ბერი (3), პრინსი (2), ოქური, რებრაჩა
**ორლანდო:** ვონი (4), გირიჩეკი (2), მაკგრეიდი (46), გუდენი (4), დეკლერკი (9); კემპი (5), სასერი (2), ბურკე (2), ვიტნი (2), ჰანტერი, გარიტი

ტრეისი მაკგრეიდი ჯორდანი არაა, მარტომ აჩემპიონოს თავისი გუნდი. ახალგაზრდა ჯორდანზე მოგახსენებთ, ოდესღაც „ჩიკაგო" რომ ჩაიბა და ყოველ სეზონში მიჰყავდა ჩემპიონობამდე. მაკგრეიდიმ სწორედ ჯორდანულად მოიკიდა „ორლანდო მეჯიქი", პლეი ოფში მარტომ გაიყვანა და იქაც პირველ მატჩში აღმოსავლეთის ყოჩი „დეტროიტი" დაამარცხებინა. მაკგრეიდიმ გუშინწინდელ შეხვედრაშიც სასწაულები აკეთა, 46 ქულა ჩაუგდო „დეტროიტს", მაგრამ რა მერე, დანარჩენმა „ორლანდომ" მხოლოდ 31 შეაკოწიწა და შედეგად სერიაში ანგარიში გათანაბრდა.

„ჩვენ ყველაზე მეტად მაკგრეიდის შეჩერებაზე ვზრუნავთ რას არ ვაკეთებთ, მაგრამ ამ გენიოსს ჯერ ვერაფერი მოვუხერხეთ. მან დღეს ისეთი რაღაცეები აკეთა, რაც აქამდე არასდროს გვინახავს" — მაკგრეიდის თამაშით აღფრთოვანებული იყო დეტროიტელთა მწვრთნელი რიკ კარლაილი.

მარტო მეომარი თი-მეკი მართლა ცოდო იყო. გვერდში ვინმე რომ ამოსდგომოდა, „დეტროიტს" უთუოდ მეორე მარცხს აძგერებდა, მაგრამ ორლანდოელთაგან არავინ გამოჩნდა მაკგრეიდის დამხმარე.

„მარტო მე ვერ მოვაგებინებ „ორლანდოს". შემიძლია, დიდი დახმარება გავუწიო ჩემს გუნდს, მაგრამ სხვებიც უნდა წამეშველონ" — გულისტკივილს გამოთქვამდა ფლორიდელთა „ეული რაინდი".

ძლიერი კალათბურთელია დეტროიტელი ბენ ვოლესი. მან ამ მატჩამდე სეზონის საუკეთესო მცველის პრიზი ჩაიბარა, მაგრამ მარდი მაკგრეიდის სადევრად ზორბა სხეული არ უწყობს ხელს და ვოლესიც ორლანდოელ მეფარეებს დაერია. ის აფარებდა, ხსნიდა, აგდებდა — ფარქვეშეთში არავის აჭარებდა.

„დეტროიტს" კარგად შველოდა ფეხმარდი მსროლელი რიჩარდ ჰამილტონიც. საერთოდაც, მასპინძლები შეწყობილად თამაშობდნენ და უკვე მეორე მეოთხედში 22 ქულით დაწინაურდნენ. ფლორიდელები ტრეისი მაკგრეიდის წყალობით რამდენჯერმე მიუახლოვდნენ მეტოქეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

სერიის მომდევნო მატჩი ორლანდოში გაიმართება. „დეტროიტს" მაკგრეიდის შესაჩერებლად ახალბედა ტაიშონ პრინსის ეიმედება. პრინსმა მესამე მეოთხედში შეცვალა მაკგრეიდის ამაოდ მადევარი მაიკლ კარი და ამ ცვლილების შემდეგ „ორლანდოს" ლიდერის შედეგიანობამაც შესამჩნევად იკლო.

**ფილადელფია 2:0 ნიუ ორლეანი**

**ფილადელფია 90:85 ნიუ ორლეანი**

**ფილადელფია:** სნოუ (11), აივერსონი (29), ვან ჰორნი (11), ტომასი (17 ქულა, 16 მოხსნა), კოულმენი (12); მაკკი (6), უილიამსი (4), ბაკნერი, ჰილი
**ნიუ ორლეანი:** ვესლი (24), ლინჩი (4), მაშბურნი (14), ბრაუნი (6), მალუა (12); ჰეკი (15), ტრეილორი (6), ოგმონი (4), ანდერსონი

ალენ აივერსონმა სერიის პირველ მატჩში 55 ქულა მოქაფა და მეორე მატჩისთვის მთელი „ორლეანი" მასზე დაიგეშა. ამ თამაშში ფილადელფიელ „ჭინკას" ბევრი „კრაზანა" ეხვია და ისიც „მხოლოდ" 29 ქულას დასჯერდა, მაგრამ ამით საქმე გაუიოლდათ „სიქსერზის" მაღლებს.

„ვიცოდით, მეტოქე მთელ ყურადღებას აივერსონზე გადაიტანდა. ასეც მოხდა და ფარქვეშეთში მეტ თავისუფლებას ვიგრძენით" — თქვა ფილადელფიელთა ფორვარდმა კიტ ვან ჰორნმა.

აივერსონის დევნასთან ერთად ორლეანელები ქულების გროვებასაც ასწრებდნენ. ერთ-ერთი ლიდერის, ბაირონ დევისის გარეშე მოთამაშე „კრაზანები" პირველ ნახევარში ტოლ-სწორად ებრძოდნენ ფილადელფიელებს. განსაკუთრებით აქტიურობდა ორლეანელთა უკანახაზელი დევიდ უესლი, ვისაც წინა შეხვედრაში ოდენ 5 ქულა ჩაეგდო აივერსონელებისთვის.

თამაშის დასრულებამდე 7 წუთით ადრე „ნიუ ორლეანი" 6 ქულით მიუახლოვდა „ფილადელფიას", თუმც აივერსონმა მყისვე დასჭედა სამქულიანი და მეტოქე საოფეზე არ გაიკარა. „მამალმა კრაზანამ" ჯამალ მაშბურნმა თითქოს რაღაც წაიფაფხურა, მაგრამ „სიქსერზის" ახალწვეულმა კენი ტომასმა, რომელსაც სერიის პირველი მატჩი ჩაუფლავდა, ახლა ფარზე არავინ გააჭაჭანა. „წინა მატჩში აივერსონისგან გაონებულმა ორლეანელებმა ზონაში ყურადღება მოადუნეს. მეფარეებსაც მეტი რა გვინდოდა, ბევრი ისეთი ბურთი ჩავაგდეთ, რასაც ხეირიანი დაცვის პატრონი გუნდი არასდროს გაუშვებს" — აღნიშნა კენი ტომასმა.

### დასავლეთი

**დალასი 2:0 პორტლენდი**

**დალასი 103:99 პორტლენდი**

**დალასი:** ნეში (28), ფინლი (17), ნოვიცკი (25), ლაფრენცი (6), ბრედლი (3); ნახერა (12), ვან ექსელი (12), გრიფინი
**პორტლენდი:** სტუდემაიერი (9), ანდერსონი (2), უელსი (45), ვოლესი (18), დევისი (7 ქულა, 15 მოხსნა); დანიელსი (7), საბონისი (6), რენდოლფი (3), მაკინისი (2), პატერსონი

45 ქულის მომხვეჭ პორტლენდელ ბონზი უელსს შეეძლო, მატჩის გმირი გამხდარიყო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ჯერ ორქულიანი გააცუდა, მერე კი საჯარიმო ხაზიდანაც ვერ ივარგა. შედეგად „დალასმა" შინ მეორე მატჩიც მოუგო „ბლეიზერსს" და დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალისკენ მიმავალი გზის ნახევარი გალია.

თუმც ამ გზის ბოლომდე წარმატებით გავლა „დალასს" ალბათ გაუჭირდება და, თუ მაინც შეძლებს, მომავალ მეტოქეს გვარიანად შესუსტებული შეხვდება. „პორტლენდი" სკოტი პიპენის გარეშე ებრძოლა რეგულარულ ჩემპიონატში მარად მოლიდერე, თუმც ბოლო წამს მესამე ადგილზე ჩამოვარდნილ „დალასს", ტოლი არაფერში დაუდო, მაგრამ სტივ ნეშმა 3-ქულიანით მატჩის ბოლოს ყელი გამოსჭრა.

არადა, „პორტლენდს" გულით ეწადა მოგება. „ბლეიზერსს" 2000 წლიდან მოყოლებული მიყოლებით 9 საპლეიოფო მატჩი წაეგო და უიღბლო ტრადიცია ვერც ამჯერად დაარღვია.

პირველ მატჩთან შედარებით, როცა დირკ ნოვიცკიმ 46 ქულა გააკეთა, „დალასმა" გუნდური სულისკვეთებით ითამაშა. ტეხასელთაგან ლიდერის ტვირთი ძირითადად სამმა კალათბურთელმა დაინაწილა, ნოვიცკის, ნეშისა და ფინლის ტრიო ისეთივე წარმატებით თამაშობდა დაცვაში, როგორც შეტევაში. „ჩვენ არაერთ დაცვით ტაქტიკას მივმართეთ, მაგრამ ზონა ყველაზე მეტად გამოგვადგა" — ამბობდა ფინლი — ვიცოდით, რომ პორტლენდელები მთელი 48 წუთი გვიძალიანდებოდნენ, ერთი პირობა უპირატესობაც კი მოიპოვეს, მაგრამ ჩვენ ბოლომდე ერთ მუშტად შეკრულნი დავრჩით."

45 ქულის საბოლოოდ ამაოდ ჩამგდები უელსი ცუდ ხასიათზე იყო და დალასელებს ემუქრებოდა — 0:2 გვარიანი ჩამორჩენა კია, მაგრამ პორტლენდში აუცილებლად გავათანაბრებთ ანგარიშს. დღეს ხომ გადაგვირჩნენ დალასელები, მომავალ მატჩებში მათ ამის იმედი არ უნდა ჰქონდეთო.

**ირაკლი პერტაია**



REUTERS

რა ტკბილად მოიხვეჭა ბონზი უელსმა 45 ქულა...

# მეჯვარეს გაუმარჯოს!

## კორეჩამ სიძის გამტყიცავი მიტყიცა

**OPEN SEAT GODO 2003**
**ბარსელონა. თიხნარი**
**საპრიზო 1 მილიონი ევრო**

**მეორე წრე**

**ხუან კარლოს ფერერო (1, ესპანეთი) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 6:4, 6:3; კარლოს მოია (2, ესპანეთი) — ადრიან ვოინია (რუმინეთი) 7:6 (7:3), 6:3; ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) — დავიდ ნალბანდიანი (6, არგენტინა) 6:3, 7:6 (7:4); გუსტავო კუერტენი (7, ბრაზილია) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 7:6 (7:1), 6:3; ალექს კორეჩა (8, ესპანეთი) — რაფაელ ნადალი (ესპანეთი) 3:6, 6:2, 6:1; იუნეს ელ აინაუი (9, მაროკო) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:4, 6:4; ტომი რობრედო (12, ესპანეთი) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:4, 7:5; დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) — გილერმო კორია (13, ესპანეთი) 4:3 კორიამ შეწყვიტა; ფილიპო ვოლანდრი (იტალია) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 4:6, 6:3, 6:4; ხოსე აკასუსო (არგენტინა) — პოლ-ანრი მათიო (საფრანგეთი) 6:2, 6:2**

მთავარგანთესილთა ამქარს იმ დღეს მხოლოდ უიმბლდონის შარშანდელი ფინალისტი, არგენტინელი დავიდ ნალბანდიანი გამოაკლდა, თორემ სხვაფრივ მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ფავორიტებმა დამაჯერებლად იბურთავეს და მომდევნო წრეში ლიანგად შელაგდნენ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევდა სამგზის მეროლანგაროსე გუსტავო კუერტენისა და გამოცდილი ესპანელის, 9-გზის მეტიტულე ფელიქს მანტიას შეხლა. ამათი პირველი სამი მატჩიდან სამივე ესპანელს მოეგო, მომდევნო სამში კი გუგამ იმარჯვა. მძაფრი დაპირისპირების მოლოდინსაც სწორედ ეს გარემოება აღვივებდა.

დაპირისპირება მაინცდამაინც მძაფრი ვერ გამოდგა, თუმცა არც ულიმღამო ყოფილა. კუერტენმა მძიმედ დაიწყო და მეტოქეს 1:5 მიუშვა. მერე კი ნელ-ნელა აიჯაგრა და პირველი სეტის ტაიბრეიკზე მოგების შემდეგ მეორე სეტი უკვე დასტურ მიითვალა.

კუერტენი: „მანტიასთან ბურთაობა ყოველთვის მურტალი რამეა, განსაკუთრებით თიხნარზე და მისი მშობლიური მილეთის თვალწინ. ეს მშვენიერი, მზიანი დღე იყო, ქომაგებმაც კაცურად შეუბერეს და თამაშიც რიგიანი გამოვიდა. ამ მოგებას ჩემი თვითრწმენისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მოკლედ — კმაყოფილი ვარ.“

წლეულს გუგა მართლაც სტაბილურად თამაშობს — ოკლენდის ტურნირზე კარიერის მე-18 ტიტულის მომხვეჭმა მერე ინდიანუელსურ ფინალშიც ...ამაშა და აკაპულკოურ და ბუენოსაირესულ ნახევარფინალებშიც გაალწია. შედეგად — შარშანდელი ჩემპიონთა რბოლის მხოლოდ 36-ე ადგილზე


REUTERS ბარსელონიდან

კარლოს მოია

გამსრულებულს ამჟამად რბოლის მე-9 საფეხური უკავია...

საპირველსეტო ტაიბრეიკი გადახდა იმ დღეს კარლოს მოიასაც, ვინაც რუმინელ ადრიან ვოინეას ძლევას საათი და 18 წუთი მოანდომა. სამი წუთით ნაკლები მოუნდა ტურნირის მთავარგანთესილსა და წინა უქმეებზე მონტეკარლოში ნამასტერსტიტულარ ხუან კარლოს ფერეროს, რათა არგენტინელი ფრანკო სკილარი შეემუსრა.

ფერერო და მოია, მონტე-კარლოს დარად, აქაც ტურნირის პირველგანთესილები არიან და ფინალში ეგებ აქ მაინც დაეჯახონ. შეგახსენებთ, რომ ბარსელონურ პუბლიკას ორი წლის წინ უკვე უნახავს მათი საფინალო განდაგანა და იმ მატჩში, ისევე როგორც მათი ცხრა შეხვედრიდან შვიდში, 26 წლის მოიაზე ექვსი წლით უმცროს ფერეროს უმარჯვია. სხვათა შორის, 8-გზის მეტიტულე ფერერომ 12-გზის მეტიტულე თვისტომს სამჯერ სწორედ ფინალში აჯობა...

სხვაფრივ — ბარსელონურმა პუბლიკამ იმ დღეს დასტურ იამა ახაკოვან ალექს კორეჩასა და 16 წლის ამოვარსკვლავებული მუჩაჩიტოს, რაფაელ ნადალის შიდაესპანური რკენით. გეხსომებათ, ნადალი მონტე-კარლოში კორეჩას სიყრმის დოსტ ალბერტ კოსტასაც მოერია და იმედოვნებდა, რომ იგივეს კოსტას მეჯვარე კორეჩასაც გაუმეორებდა.

არ გამოუვიდა. 17-გზის მეტიტულე კორეჩამ, რომელიც წლეულს ისე უნდილად ირჯება, რომ მხოლოდ ერთხელ, სკოტსდეილში უწია მეოთხედფინალს, ამ კვირაში ზეასეულში აღზევებულ უნიჭიერეს თანამემამულეს სამსეტიანი ჩახა-ჩუხის შედეგად მოუგო.

სულ თავში დავიდ ნალბანდიანით დავიწყეთ და ბარემ იმასაც მოგაგონებთ, რომ სამი კვირის წინ არმენოარგენტინელმა ამ ჯერზე მის მძლეველი რუსი დავიდენკო ბუენოს აირესული დევისდაგნარის გადამწყვეტ მატჩში მოთელა. ასე რომ დავიდენკომ, ვინაც წლეულს კარიერის პირველი — ადელაიდური და ესტორილური — ტიტულები მოირეწა, ნალბანდიანზე ერთგვარად შურიც იძია.

ზორბა და კოლორიტული მაროკოელი იუნეს ელ აინაუი მეშვიდედ შეხვდა 2001 წლის ჰამბურგული მასტერსტურნირის ჩემპიონ ალბერტ პორტასს და მეშვიდედვე დაიმორჩილა.

კვლავ არ ცხრება უეცრად წამოყინჩული იტალიელი ფილიპო ვოლანდრი, ვინაც, მონტე-კარლოდან რომ აკრიფა და მეოთხედფინალამდე იომა, ბოლო 10 მატჩში უკვე 9 მოგება დაიგროვა. ბარსელონაში ის ტურნირს შერჩენილი ერთადერთი ნაკვალიფიკაციევი მეჩოგნეა — ანუ ერთადერთი იმ მეჩოგნეთაგან, ძირითად ბადეში მოხვედრის უფლება საკვალიფიკაციო შეხვედრებში რომ მოიპოვა.

რაც შეეხება მეცამეტე ნომრად განთესილ გილერმო კორიას, სლოვაკ ჰრბატისთან პაექრობა მან ანაზდად გაჭანჭყლებული თიაქრის გამო ვერ მოამთავრა.

**აშშ-ის თიხნარპირველობა**
**ჰიუსტონი**
**საპრიზო 380 ათასი $**

**მეორე წრე**

**ენდი როდიკი (2, აშშ) — პოლ გოლდსტაინი (აშშ) 7:5, 6:4; ჯეიმს ბლეიკი (3, აშშ) — ატილა სავოლტი (უნგრეთი) 6:2, 7:6 (7:2); ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) — ვინს სპედია (5, აშშ) 4:6, 7:6 (8:6), 6:3; ოლივიე მუტი (საფრანგეთი) — ფლავიუ სარეტა (ბრაზილია) 6:2, 6:0**

შარშანდელ და შარშანწინდელ ჩემპიონ ენდი როდიკს კაი ძალი ოფლის ღვრა მოუხდა უსახელო თვისტომის, პოლ გოლდსტაინის მოსარჯულებლად. გოლდსტაინი მსოფლიოში 193-ე კია, მაგრამ პირველ სეტში 4:1 რომ იგებდა, კაცი ვერ გაარკვევდა, ტურნირის ორგზის ჩემპიონი კორტის რომელ მხარეზე იდგა. თუმცა მერე და მერე ყველაფერი მაინც თავის თავს დაემსგავსა და როდიკმაც სეტისწაუგებლად გაივაკა.

დღის მთავარი მოულოდნელობა კი ბრაზილიელი მელიგენის მიერ ამ ბოლო დროს ხოშიანად მოჩოგნავე სპედიას გაძევება იქცა. თუმცა მოულოდნელი ამ შედეგს მხოლოდ იმიტომ თუ დაერქმევა, რომ განუთესავმა განთესილი აოტა, თორემ მელიგენს სპედიასთან აქამდე ნათამაშებ ოთხ მატჩშიც სამი მოეგო და ამ ჯერზეც ისე ჯიგრიანად ითამაშა, რომ სამი მატჩბურთის გადარჩენა შეძლო.

**ლევან ძელაურაძე**


რაფაელ ნადალი


REUTERS ბარსელონიდან

ალექს კორეჩა





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლეგენდას მწვანე ბალახის სუნი შეეპარა

## კარლ ლუისს ჯერ მხოლოდ მართვის მოწმობა ჩამოართვეს

**ცხრაგზის** ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ლეგენდარულმა სპრინტერმა კარლ ლუისმა გაზეთ „ორენჯ ქანთრი რეგისტერს“ გული გადაუშალა და უთხრა, რომ რაგინდარა მნიშვნელობის სარბენი ბილიკები ჯადონაყენის დახმარებით აითვისა. თითქოს ამაში დასაძრახი არაფერია, რაკი ბალახეულითა და სხვა უწნარი რამეებით დამზადებულ წვენებს ბევრი სპორტსმენი მიირთმევს, მაგრამ საქმე აი, რაშია:

ნაყენი, რომელსაც ლუისი სვამდა, სამ აკრძალულ ნივთიერებას შეიცავს. ეს იცოდა აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის უფროსობამ, მაგრამ თავის დროზე ამ ფაქტს წაუყრუეს და სპრინტერს სირბილის ნება დართეს. ლუისი: „ამერიკის ოლიმპიურმა კომიტეტმა ყველაფერი შესანიშნავად იცოდა, მაგრამ ჩემთვის სირბილი არ აუკრძალავთ. ისინი სამართლიანად მომექცნენ, რადგან ჩემი დიეტოლოგის დამზადებული ნაყენი სტიმულატორი არაა. მერე რა, რომ ის აკრძალულ ნივთიერებებს შეიცავს, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. მთავარია, მე დოპინგს არ ვლებულობდი.“

ლუისი არ ცრუობს. მისი ჯადონაყენის შემცველობა საგულდაგულოდ შეამოწმეს და დამტკიცდა, რომ ის სტიმულატორის დანიშნულებას ვერ შეასრულებს, მაგრამ ფაქტი, რომ მასში აკრძალული ნივთიერება ერია, ფაქტად რჩება.

„ორენჯ ქანთრი რეგისტერის“ მოუსვენარი ჟურნალისტები მიდგნენ-მოდგნენ და გამოქექეს, რომ 1988 წლიდან 2000 წლამდე შეერთებული შტატების ოლიმპიურმა კომიტეტმა ასამდე ამერიკელი ათლეტის კუდრაჭობაზე დახუჭა თვალი. გაზეთმა ქვეყნის ოლიმპიური მამები საერთაშორისო ანტიდოპინგური კამპანიის პრინციპების დარღვევასა და დოპინგსაქმეების მიჩქმალვაში დაადანაშაულა.

გაზეთის ეს ბრალდება უეიდ ექსიუმის ნაამბობზეა დაფუძნებული. ექსიუმი 1991-2000 წლებში ამერიკის ოლიმპიური კომიტეტის დოპინგკონტროლს უძღვებოდა. მან თქვა, რომ ძალიან ბევრი ათლეტი აკრძალულ ნივთიერებებს ლებულობდა და ამის თაობაზე ზევითაც ატყობინებდა, თუმც შესაბამისი რეაგირება არ ყოფილა.

ექსიუმი: „ხელმძღვანელებს ყველაფერი დეტალურად მოვახსენე და იმ სპორტსმენთა ვინაობაც ვუთხარი, რომლებიც ანაბოლიკებს და ათას სხვა სტეროიდებს ლებულობდნენ. დანარჩენი მე არ მეხებოდა. ასე რომ, ხელებიც დამიბანია, ამ საქმეში სუფთა ვარ.“ ამის თქმა იყო და სკანდალიც აგორდა. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში უკვე შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელიც ექსიუმის ნაამბობს გამოიძიებს.

ერთ დროს მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანის, კანადელი ბენ ჯონსონის ყოფილმა მენეჯერმა განაცხადა, რომ სადაც სამართალია, კარლ ლუისს 1988 წელს სეულის ოლიმპიადაზე მონაგრული მედლები უნდა ჩამოერთვასო: „მაშინ ჯონსონი სტეროიდების ხმარებაში გამოიჭირეს და რეკორდი და ოქროს მედალი ჩამოართვეს. ბენის არყოფნაში კი ლუისმა გაილაღა და რაც კი იყო მოსაგები, ყველაფერი მოიგო. რა გამოდის? თურმე ლუისიც აკრძალული პრეპარატების დახმარებით იმარჯვებდა. ასე რომ, ისიც სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს, თუნდაც ამდენი წლის შემდეგ.“

ლუისმა პასუხი არ დააგვიანა და აი, რა თქვა: „სხვას რას ელოდით? ბევრს შურს ჩემი და ყველანაირად ცდილობენ ახლა მაინც ამოანთხიონ ბოღმა. მე სტიმულატორების გარეშე გავხდი ჩემპიონი და არაფრის დათმობას არ ვაპირებ.“

სხვათა შორის, ამ ორშაბათს ლუისი საგზაო პოლიციამ დააკავა, რადგან იგი მთვრალი ეჯდა საჭეს და თავის „ლინკოლნს“ ისე დააქროლებდა, როგორც თავად დარბოდა ჯეელობაში. ამ შემთხვევაში მას მართვის მოწმობა ჩამოართვეს და საკმაო თანხით დააჯარიმეს. ჩამოართმევენ თუ არა მას ჯეელობაში რბენაში მონაგრებულ ოქრო-ვერცხლს?

**ბაჩო სვანიძე**

*გუშინდელი ხუთშაბათი სპორტის დეპარტამენტში მედიის დღე იყო, ძიუდოს, სამბოსა და მშვილდოსნობის ნაკრები გუნდების მთავარმა მწვრთნელებმა ერთობლივი პრესკონფერენცია მოაწყეს და გვამცნეს, რომ მაისში სამივე ნაკრები ევროპულ ტურნირებზე გამოვა*

# სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ ვერ მისროლია ისარი



ხათუნა ქვრივიშვილი

**მოსკოვის** ოლიმპიადის ჩემპიონი ქეთევან ლოსაბერიძე, რომელიც საქართველოს ქალ მშვილდოსანთა ნაკრების მწვრთნელიც და მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტიცაა ათენის ოლიმპიადისთვის მზადყოფნას არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევს. წინა ოლიმპიადაზე საქართველოს მხოლოდ ქალ მშვილდოსანთა ნაკრები ჰყავდა სრულად დაკომპლექტებული. ნაკრების ლიდერები ხათუნა ქვრივიშვილი და ხათუნა ფუტკარაძე საქართველოს შიდა ჩემპიონატში პირველ-მეორე ადგილებზე გავიდნენ, ნაკრების ბირთვს შეადგენენ და, ცხადია, ეროვნულ გუნდში მოხვედრა გარანტირებული აქვთ. სიდნეის ოლიმპიადის მესამე მონაწილე ასმათ დიასამიძეს ახალგაზრდა მშვილდოსნები უწევენ კონკურენციას. როგორც ქალბატონმა ქეთევან ლოსაბერიძემ აღნიშნა, ოლიმპიადაზე სამივე მშვილდოსნის გასვლისთვის მსოფლიო თასის მინიმუმ სამ ეტაპზე ასპარეზობაა საჭირო. თითო ეტაპზე მხოლოდ სპორტსმენებისა და მწვრთნელების გამგზავრება 21 ათასი ლარი ჯდება და ვინაიდან ფედერაციის წლიური ბიუჯეტი სულ 60 ათასს შეადგენს, ისეთი „ძვირი" სპორტის განვითარება, როგორიც მშვილდოსნობაა, ჩვენში არცთუ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

თბილისში არსებული ერთადერთი სასროლეთი რკინიგზის დეპარტამენტის საკუთრებაში გადავიდა. „ბატონ აკაკი ჩხაიძეს ქართული მშვილდოსნობა დიდად არ ანაღვლებს და აწი იმ შენობაშიც ისრებს ველარავინ ისვრის. არადა, მე იმ დარბაზში დავიწყე ისრის სროლა და გავიზარდე" — ამბობს ქეთევან ლოსაბერიძე გულისტკივილით.

თბილისელი მშვილდოსნები თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოყოფილ დარბაზში ვარჯიშობენ, რომლის სიგრძეც აუცილებელი 70 მეტრის ნაცვლად, 40 მეტრია.

5-დან 10 მაისამდე ხორვატიაში გასამართ გრან პრიზე ჩვენი მშვილდოსნები სალიცენზიო ქულების დაგროვებას გეგმავენ.



ქეთევან ლოსაბერიძე

თავისი სიტყვა თქვეს ძიუდოისტებმაც. ისინი 13 მაისს მიემგზავრებიან დიუსელდორფში ევროპის ჩემპიონატზე. ძიუდოისტთა მთავარ მწვრთნელს შოთა ხაბარელს გუნდური საფიქრალიც აქვს, ორი თვის შემდეგ ლონდონში კონტინენტის გუნდური პირველობაა. ხაბარელის აზრით, ჩემპიონობის შენარჩუნება ჩვენს ნაკრებს ნამდვილად ძალუძს და ალბათ, მსოფლიოს ჩემპიონობასაც ადვილად აღარ დაუთმობს ძიუდოს ფუძემდებელ იაპონელებს.

ქართველმა ძიუდოისტებმა კარგა ხანია დაიწყეს საოლიმპიადოდ სალიცენზიო ქულების დაგროვება. ჩვენები შვიდივე წონით კატეგორიაში რეიტინგის პირველ ათეულში არიან. ნესტორ ხერგიანი და დავით მარგოშვილი სულაც პირველობენ. ხაბარელს აგრეთვე ზურაბ ზვიადაურის, ივერი ჯიქურაულის და ალექსი დავითაშვილის ეიმედება.

ევროპის ჩემპიონატზე სამივე ასაკობრივ ჯგუფში გამოვლენ ქართველი სამბისტები. ნაკრების მთავარი მწვრთნელის ოლეგ იაძის თქმით, მისი შეგირდები არაერთ მედალს გეგმავენ. უფროსები შეეცდებიან, შარშანდელი შედეგი გააუმჯობესონ. შარშან ერთი ვერცხლის და ოთხი ბრინჯაოს პრიზიორი გვყავდა. წლეულს კი ერთ ჩემპიონს მაინც გვპირდებიან.

ტურნირი 1-5 მაისს ბულგარეთის ქალაქ ალბენაში გაიმართება. მსოფლიოს ჩემპიონატი კი ესპანეთის მაგივრად რუსეთში, სანკტ პეტერბურში ჩატარდება. ქალაქის 300 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ჩვენი მეზობლები ზარზეიმიან ტურნირს აწყობენ. ჩემპიონატის საპატიო სტუმრებს შორის რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებიც იქნებიანო.

**შოთა ძოპალეიშვილი**



შოთა ხაბარელი



# ბოთაა, ბოთე კი არა
## კანდელაკს კაი გამარტყმელს გააცნობენ

**ოცდაათამდე** სარეიტინგო ბრძოლისა და ისე რა ორგანიზაციის — მსოფლიოს კრივის კავშირის (WBO) — ქამრის დასაკუთრების მერე, ვარიანელ გიორგი კანდელაკს კვაჭმა პრომოუტერმა ფრენკ მელოუნმა ნაღდ მოკრივესთან, მრავალ მუშტმოხვედრილ ფრანსუა ბოთასთან ტიტულის შემანარჩუნებელი ბრძოლა გაუხერხა.

საკრივო სამყაროში „თეთრ ბიზონად" ცნობილ სამხრეთაფრიკელის უპრესტიჟულეს ქამართა დაუფლებისთვის ბრძოლაში ისეთ გოლიათთათვის შემოუკრავს ხელი, ლენოქს ლუისი და მაიკ ტაისონი რომ არიან.

კანდელაკ — ბოთას შებმის ამბავი გუშინ გადაწყდა და დაითქვა, რომ ჩხუბი 19 ივნისს ვირჯინიის კუნძულებზე მოეწყობა.

ქართველი მოკრივე მზადებას 1 მაისს ლიკანში დაიწყებს, ივნისის დამდეგს კი პორტუგალიას მიაშურებს, სადაც ფრენკ მელოუნის მეთვალყურეობით განაგრძობს ვარჯიშს.

გიორგის მომავალი მეტოქე 34 წლისაა, ოცდათხუთმეტისა 26 სექტემბერს მოიყრება, მაგრამ „ბებრის" კვალობაზე ჯან-ღონე არ აკლია და, მით უფრო, გამოცდილება. ერთი ეგაა, ბოლო ხანს წამოჩიტულმა ჯეელებმა ბობოქლა სარეიტინგო სიებიდან განდევნეს და იქ დაბრუნებას ჩვენებურის ძლევაი ეშურება. თუმცა კანდელაკსაც ბობოლათა ამქარში ფეხის შედგმა რომ სწადია, კარგა ხანია, ვიცით და აგერ რინგი და აგერ ბოთა.






იყო დრო, ფრანსუა ბოთა ლენოქს ლუისს ურტყამდა. ახლა მას გიორგი კანდელაკი ელის



## NHL სტენლის თასი. მეორე წრე
### ოთხ მოგებამდე

*ერთი წამით წარმოიდგინეთ ჟან სებასტიან ჟიგერი თასით ხელში, ანაც გიჟის თვალებით მომხირალი ენდრიუ ბრიუნეტი ფინალში გატანილი გადამწყვეტი გოლის შემდეგ. თითქოს ფანტასტიკის სფეროა, მაგრამ რაც პირველ რაუნდში ისეთი ამბები დატრიალდა, ახლა აღარაფერი გაგვაკვირვებს. ვნახოთ, რა სიურპრიზებს მოიტანს მეორე წრე, რომელიც გუშინ, 24 აპრილს, დაიწყო*

# ქირამალები
## წარმოიდგინეთ წარმოუდგენელი და უყურეთ სტენლის თასს

### აღმოსავლეთ კონფერენცია

#### ოტავა (1) VS ფილადელფია (4)

ურთიერთშეხვედრები ამ სეზონში: +1=2-1

*პლეი ოფში ერთხელ შარშან უთამაშიათ, ოტავამ სერია 4:1 მოიგო.*

ლიდერები: მარიან ჰოსა (3 გოლი+1 პასი), ტოდ უაიტი (3+0), რადეკ ბონკი (2+2), მარტინ ჰავლატი (1+3)

ლიდერები: მარკ რეკი (6+3), სიმონ განეი (3+1), ჯერემი რენიკი (3+2), ერიკ უეინრიჩი (2+3)

საპლეიოფო პრაქტიკა იმას მეტყველებს, რომ ხანგრძლივი დასვენება სულაც არ არის წარმატების საწინდარი. ფილადელფიამ უმძიმესი ბრძოლა გადაიტანა ტორონტოსთან მომქანცველ, 7-მატჩიან სერიაში. თან წამყვანი მცველი ერიკ დესჟარდენი დაკარგა. მეორე წრის დაწყებამდე „მფრინავებს" ერთი დღე ჰქონდათ დასასვენებლად, მაგრამ, სამაგიეროდ, რაკი იმ საშინელი ჩეხვიდან გამარჯვებულნი გამოვიდნენ, ემოციური აღმართი მათ სათამაშო რიტმს შეუნარჩუნებს.

თავის მხრივ, ოტავამ წლეულს ძალიან მოუმატა. წინა წლების საპლეიოფო შეცდომები მწვრთნელმა ჟაკ მარტენმა ღრმად გააანალიზა და დასკვნებიც გააკეთა. ამ სეზონში ოტავა გაცილებით ხისტია და ფიზიკურად ძლიერი, რაც ფილადელფიასთან ჭიდილში ნამდვილად გამოადგება. ერთი კი ცხადია, ფილადელფიისთვის შარშანდელი კოშმარი აღარ განმეორდება — ოტავამ ხომ „მფრინავებს" სერიაში 5 მატჩიდან 4-ში გოლი არ გაატანინა.

CBS SPORTSLINE-*ის პროგნოზი: ფილადელფია 6 თამაშში მოიგებს*

#### ნიუ ჯერსი (2) VS ტამპა ბეი (3)

ურთიერთშეხვედრები ამ სეზონში: +1=2-1

*პლეი ოფში პირველად ხვდებიან*

ლიდერები: ჯემი ლანგენბრუნერი (5+2), ჯონ მედენი (2+6), ჯეი პანდოლფო (1+2)

ლიდერები: მარტენ სან ლუი (5+4), ვენსან ლეკავალიე (3+2), ვაცლავ პროსპალი (3+2), დეივ ანდრეიჩუკი (2+3)

ამ სერიის შედეგი ადვილი გამოსაცნობია. ტამპამ პირველ წრეში ჩინებული ჰოკეი აჩვენა, მაგრამ ის, რაც საკმარისი იყო ვაშინგტონთან ჭიდილში, ნიუ ჯერსისთან ნაღდად არ ეყოფა.

ტამპელთა პირველი სამეული (სან ლუი-ლეკავალიე-პროსპალი) „ეშმაკთა" დაცვის და მარტინ ბროდოს ხელში სურვილისამებრ ველარ გაილაღებს, ხოლო ამათ ზურგს უკან კი არცთუ დიდი ძალაა. ასე რომ, ამ სერიაში გამარჯვებისთვის „ელვებს" განსაკუთრებული შთაგონება და ძალისხმევა მართებთ, მით უფრო მათ მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინს.

CBS SPORTLINE-*ის პროგნოზი: ნიუ ჯერსი 6 თამაშში მოიგებს*

### დასავლეთ კონფერენცია

#### დალასი (1) VS ანაჰაიმი (7)

ურთიერთშეხვედრები ამ სეზონში: +3=1-1

*პლეი ოფში პირველად ხვდებიან*

ლიდერები: მაიკ მოდანო (4+6), სერგეი ზუბოვი (4+6), სკოტ იანგი (4+2), ჯეისონ არნოტი (2+2)

ლიდერები: სტანისლავ ჩისტოვი (2+1), პოლ კარია (2+0), ჯეისონ კროგი (2+0)

ძნელი წარმოსადგენია, რომ ანაჰაიმს სასწაულების სერია გაუგრძელდეს. ეგებ დალასი დეტროიტზე ძლიერი გუნდი არ არის, მაგრამ, და ცემული ჩემპიონისგან განსხვავებით, რეიტინგით დაბლა მდგომ გუნდებთან დაჩოქება არ სჩვევია. ტეხასელებმა შეინარჩუნეს კენ ჰიჩკოკის დანატოვარი — ორგანიზებული დაცვა და მეტოქისთვის ქანცისგამცლელი პრესინგი მისსავე ზონაში. ახალმა თავკაცმა დეივ ტიპეტმა არტახები გაუხსნა გუნდის ლიდერს მაიკ მოდანოს, რითაც დალასელთა შეტევა უფრო აილესა. თან მეორე რაუნდისთვის დალასის რამდენიმე ფრიად საჭირო მოთამაშე გამოჯანმრთელდა, მათ შორის პიერ ტარჯონი. მაინც გავავლებთ პარალელებს და აღვნიშნავთ, რომ დალასში წლეულს დეტროიტის დარად, სწორედ თავკაცი და მეკარე შეიცვალა, ანაჰაიმის გოლკიპერ სებასტიან ჟიგერს კი უკვე რუა-2003 შეარქვეს.

CBS SPORTSLINE-*ის პროგნოზი: დალასი 6 მატჩში ბრო იგებს*

#### ვანკუვერი (4) VS მინესოტა (6)

ურთიერთშეხვედრები ამ სეზონში: +2=1-2

*პლეი ოფში პირველად ხვდებიან*

ლიდერები: მარკუს ნესლუნდი (4+3), ბრენდან მორისონი (2+2), ტოდ ბერტუცი (1+3), ედ ჟოვანოვსკი (2+1)

ლიდერები: მარიან გაბორიკი (4+2), ენდრიუ ბრიუნეტი (3+3), პასკალ დიუპუი (2+2), ფილიპა კუბა (2+2)

პირველი რაუნდის სენსაციათა ავტორების პირადი დუელის პროგნოზირება თითქმის შეუძლებელია. განსაკუთრებით ჭირს მინესოტას ამოცნობა. კოლორადოს გადაყირავების შემდეგ „ველურებისგან" ყველაფერი მოსალოდნელია. ვიცით, რომ ვანკუვერის წარმატება ძალიან არის დამოკიდებული ლიდერებზე მაშინ, როცა მინესოტას 3 ტოლძალოვანი სამეული ჰყავს შეტევაში. სამაგიეროდ, ვანკუვერი ფიზიკურად უფრო მძლავრია, რაც მინესოტას რეალურ საფრთხეს შეუქმნის.

CBS SPORTSLINE-*ის პროგნოზი: ვანკუვერი 7 თამაშში მოიგებს*


REUTERS როქსბერიდან

# მზადება და სწავლა

შაბათიდან ამერიკის ფედერაციის თასის ნაკრები ჩეხთა ნაკრებს უმასპინძლებს. ჩოგბურთელ ქალთა ამ დიდი გუნდური შეჯიბრის ერთ-ერთი მონაწილე, ვინუს უილიამსი ვარჯიშობს, მაგრამ იმისთვისაც მოუცლია, რომ ყრმა ჩოგბურთელებს ერთი-ორი სასარგებლო რამ ურჩიოს. ეს ამბავი მასაჩუსეტსში, როქსბერში ხდება, რეჯი ლუისის სამძლეოსნო ცენტრში.

# საქმე

ეს ბიძაკაცები განთქმული „ნაიკის" უფროსები, ლორენს ტრაიბი (შუაში) და უოლტერ დელინჯერი გამოვიდნენ და ვაშინგტონში, სასამართლოს შენობის წინ ხმაურობენ, რადგან იწყება საქმის მოსმენა იმის თაობაზე, თუ როგორ აყალბებენ აზიელი თაღლითები „ნაიკის" ნაწარმს.


REUTERS ვაშინგტონიდან



REUTERS უიდან

# მოგება შიში

უიში, ბელგიაში ფლამ ვალუნის ქალთა ველოტური მოუგია ინგლისელ ნიკოლ კუკს და დიდადაც გახარებია. 97,5 კილომეტრის ყველაზე სწრაფად გაქროლება ხუმრობა არ არის, გოგოს კი გრძელი ენა ჰქონია.


REUTERS სევილიიდან

# ყური

მძიმე საცქერია, მაგრამ კორიდის წესია: სევილიაში ამაყი მატადორი მატიას ტეხელა მოკლული ხარის წაჭრილ ყურს უჩვენებს პუბლიკას. ამის ცქერას ისევ ისა სჯობს, ქალები რომ მარაოებს ესვრიან გამარჯვებულ მატადორს, ის კი აკოცებს და უკან დაუბრუნებს ხოლმე.

# სამხრეთელი ქალები

ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ლიმაში: „მონუმენტალის" სტადიონზე პერუელი ადრიანა დავილა კოლუმბიელ ანდრეა გარსონს ებრძვის. თამაში კი სტუმრებმა მოიგეს.



REUTERS ლიმადან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კაკა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ლევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge